

გაზეთი ბეჭდის, „ვერსია“ ერთი

ვერსია



60 თეთრი №108 (1134) 28 - 29 თებერვალი, 2015 წელი

ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ
საქართველოში ამერიკული
საბჭოების დირექტორთან



გიორგი ბლაუვერტი:
„აშშ-ში განათლების
მიღების მსურველებს შორის
ქართველები დიდობენ“

სკანდალური ინტერვიუ გაია ნიკოლაიშვილთან



„გიყვებით იმას,
რაც არასდროს,
არავისთვის
მომიყოლია...“

რაც ითხოვს მარგვედაშვილის დავითხვას, ვინ რა მიზნით ავრცელებს
ნამების კადრებს, რა გეგმა ჩაუვარდა სააკაშვილს 2006 წელს და
კინმარიშვილის გარდაცვალების რა ვერსია გაჟღერდება უახლოეს მომავალში

**სიფრულ გაუწყობლობაზე
გადასვლის შემდეგ, ტელევიზიის
ნართივე აქტუალობას კარგავს**

რა სარგებელი მოიგანა ციფრული
მაუწყებლობის რეფორმამ, რაცომ
გაითიშა 12 ოქტომბერს
5 კომერციული არხი და ვინ
არის აშშ-ში თაღლითობისთვის
ნასამართლევი ბვიად ერემაძე

25-წლიანი მოქალაქეობის წრე



1990 წლის 28 თებერვლის პირველი
მრავალპარტიული არჩევნებიდან



2015 წლის 28 თებერვლის
ორპარტიულ დანიშნულებებზე

რა არის ბვიად გამსახურდისა და „ოცნების“ საერთო
შეცდომა და რით ჰგავს ნაცემოდრობა კომპარტიას

**გაქვლებების ფსიქოლოგია
პაციენტის დღიური**

„ქიდერას“ „ალიანებითი
ჩვენება“ ბონაბე

**წყნეთის ბავშვთა სახლი მხროვნები
ღვინილი ოჯახები დახმარებას ითხოვენ**



„სადმე დაგვასახდონ... ან
იმის უფლება მაინც მოგვცენ,
გაბი შემოვიყვანოთ, რომ
ბავშვები არ დაგვეყინოს“



მესართულა

ლევან სეფისკვირაძე

რუსეთი (რუს. Россия), ოფიციალური სახელია რუსეთის ფედერაცია (რუს. Российская Федерация) — ევრაზიის ქვეყანა. ის არის ფედერაციული რესპუბლიკა. რუსეთი შედგება 83 ფედერაციული სუბიექტისგან. ქვეყნის სახმელეთო საზღვარი ყველაზე დიდია მსოფლიოში. რუსეთის დასავლეთ მხარეს ესაზღვრება ევროპული სახელმწიფოები: ფინეთი, ნორვეგია, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა და პოლონეთი, ეს ორი სახელმწიფო რუსეთის მხოლოდ ერთ ადმინისტრაციულ სუბიექტს, კალინინგრადის ოლქს ესაზღვრება. რუსეთს ასევე ესაზღვრება: ბელორუსია, უკრაინა, საქართველო, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ჩინეთი, მონღოლეთი და ჩრდილოეთი კორეა. რუსეთს ოფიციალური საზღვარი არ გააჩნია იაპონიასთან და აშშ-სთან, მაგრამ ამ ორ ქვეყანას ის ზღვის მეშვეობით უკავშირდება, იაპონიასა და რუსეთს შორის მდებარეობს ოხოტის ზღვა, ხოლო აშშ-სა და რუსეთს შორის მდებარეობს ბერინგის სრუტე.

რუსეთი — მსოფლიოში ტერიტორიულად ყველაზე დიდი ქვეყანა, სადაც დღემდე ფიქრობენ, რომ საქართველო მათთვის საფრთხეს წარმოადგენს. რუსეთი — ქვეყანა სადაც ყველაფერია, ყველა წილისუღობა, ყველაწილის რესურსია, მაგრამ მაინც იქაა, სადაც წესით არ უნდა იყოს. რუსეთი — ქვეყანა სადაც არსებობენ სასტუმროს „ეტაჟინცები“, იგივე მესართულეები...

თუკი რუსეთის რომელიმე ქალაქში სასტუმროში ერთხელ მაინც გაჩერებულხართ, აუცილებლად შეამჩნევდით ყველა სართულზე მჯდომ მთვლემარე ხანში შესულ ქალებს, რომლებსაც დიადმა რუსმა ხალხმა მესართულეები უწოდა და მათი ფუნქცია სხვა არაფერია, თუ არა სართულის „მაცურებლობა“. რა ევლება მესართულეს? პირველ რიგში სართულზე სინყნარის უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში ნომრებში მყოფთათვის ისეთი ნივთებით მომარაგება როგორცაა: უთო, ფენი, ცხვირსახოცების შეკვრა და მისთანანი.

რუსეთში მხოლოდ ბიძაკაცების ოხვრანარევი მოგონებებიდან: „კრასნოდარში ვართ მე, ავთო, ნოდარა და გივი. ჰოდა, სასტუმროს ნომერში აყვანილი გვყავს „ბაბოჩკები“ და ამბავი უნდა ვქნათ, მაგრამ საქმეში ხარ? შემოგვივარდა ის დამპალი „ეტაჟინცა“ და სულ პანლურებით გვყრიდა გარეთ. გაგიჟდა გივია. ჯერ აგინა იმ გიჟ „ეტაჟინცას“, მერე შეგვეშინდა, მილიციამ არ დაერეკა, ფული ვაჩუქეთ, კონიაკი ჩავუცურეთ ხალათის (ხალათი თავის მხრივ უკვე მრავლისმეტყველია!) ჯიბეში და იმანაც თვალები დახუჭა. აბა რა, კაცო, ეგრე აწყობილ საქმეს გავაფუჭებინებდით?!“

რატომ შეიქმნა მესართულეობა? მესართულეობა შეიქმნა იმიტომ, რომ რუსეთი არის ქვეყანა, სადაც მოქალაქეების კონტროლი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხორციელდება და საამისოდ არც თანხები იზოგება და არც დრო. მესართულე ქალი კი სხვა არაფერია თუ არა მოთვალთვალე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ყველაფერს მოახსენებს „ზემოთ“ მყოფთ.

რატომ არ ყავთ მესართულეები ნორმალურ ქვეყნებში? პასუხი მარტივია. ნორმალურ ქვეყნებში არავის სჭირდება მოთვალთვალეები და არც არავინ შექმნის აბსურდულ სამუშაო ადგილებს. სასტუმროს მენეჯერები შესანიშნავად ასრულებენ კლიენტების სურვილებს და სულაც არაა საჭირო მათი მუდმივად სართულზე მორიგეობა. ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება ადამიანმა აიღოს ტელეფონის ყურმილი და დაურეკოს ადმინისტრატორს? განა ასე ძნელია?

ჩვენ და მესართულეები... კარგია, რომ საბჭოთა კავშირიდან მესართულეობა საქართველოში არ შემორჩა, მაგრამ ბოლო დროს „ერთმორწმუნე ძმებთან“ ჩახუტების მსურველთა რაოდენობა ამ ქვეყანაში ისე იზრდება, რომ სულაც არაა გამორიცხული აღდგეს „ნანატრი ძმობა“ და ვითარცა სომხეთმა, ჩვენც კავკასიონის მიღმა მივაპყროთ გამჭოლი მზერა. და სადაც რუსეთია, იქვეა მესართულეც. სწორედ ამიტომაც უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი მესართულეების ქვეყანაა. ქვეყანა, სადაც ადამიანებს სულში ხელებს უფართოებენ!

პრემიერ-მინისტრი მილოსვან აფხაზურ და ქართულ ენებზე აპრესიას

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი აფხაზურ ენაზე და აფხაზურ ენებზე ულოცავს. მთავრობის მეთაური მიიჩნევს, რომ აფხაზურ ენას დაცვა და გაფრთხილება სჭირდება: „მთელი გულით ვულოცავ ჩვენს აფხაზ ძმებს აფხაზური ენის დღეს. ეს ღირსშესანიშნავი დღეა არა მარტო აფხაზებისთვის, არამედ ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზურ ენას ქართულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული და მისი დაცვა ჩვენი ვალია. აფხაზი ხალხი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში, ჩვენ გვაკავშირებს ერთიანი ისტორია და კულტურა. ჩვენი კავშირის დარღვევას, ამ ნათესაობის მოშლას ვერ შეძლებს ვერავითარი ძალა და კონფლიქტი. ჩვენ მხოლოდ ერთად, ერთიანი ძალით შევძლებთ აფხაზური ენის დაცვას, იმ თვითმყოფადობის შენარჩუნებას, რომლითაც ამჟამად აფხაზი ხალხი. მე მჯერა, რომ ჩვენ საერთო მომავალი გვაქვს და ერთად ვივლით იმ გზაზე, რომელიც ჩვენს ხალხს, ჩვენს შვილებს უკეთეს ცხოვრებას მოუტანს“.



„პია“

საპროკურორო საბჭოს ახალი წევრები აღვოკაბი ირმა ჭკალუა და პოლიკარაე მონიავა გახლან



პარლამენტმა არასამთავრობო სექტორისა და სამეცნიერო წრეების მიერ წარდგენილ კანდიდატებს კენჭი უყარა.

სულ პროკუროროთა საბჭო 15 წევრისგან უნდა დაკომპლექტდეს. მათგან 8 პროკურორი უკვე შერჩეულია. ასარჩევი კი რჩება დეპუტატი უმცირესობიდან და ორი მოსამართლე. საბჭოს ერთი წევრი, თავად იუსტიციის მინისტრი იქნება.

„საქართველოს პროკურორის შესახებ“ კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, მთავარი პროკურორი საპროკურორო საბჭომ უნდა აირჩიოს.

„პია“

სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროში საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა

სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის, კახა კახიშვილის ბრძანებით, სამინისტროში საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა.

საბჭო მინისტრის სათათბირო ორგანოა და იგი სისტემაში მიმდინარე რეფორმის გამჭვირვალობის, სამინისტროს მუშაობის საჯაროობის, საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფისა და დემოკრატიული პრინციპებით მართვის მიზნით ჩამოყალიბდა.

სათათბირო ორგანოს მინისტრი ხელმძღვანელობს. საბჭოში არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, პენიტენციური ან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სფეროს ექსპერტები შევლენ.

საბჭოს წევრობით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიმდინარე წლის 17 ნოემბრამდე მიმართონ და შესაბამისი დოკუმენტაცია წარადგინონ. საბჭოს წევრობის მსურველი რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს — არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი უნდა წარმოადგენდეს ორგანიზაციას, რომელსაც სასჯელალსრულების სფეროში მუშაობის მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება აქვს; საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი კი უნდა წარმოადგენდეს ორგანიზაციას, რომელიც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ითვალისწინებს. ამასთან, საჭიროა მუშაობის გამოცდილება სასჯელის აღსრულების სფეროში. საბჭოს წევრობა შეუძლია პენიტენციური ან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სფეროს ექსპერტსაც, მუშაობის მინიმუმ ორწლიანი გამოცდილებით, რაც მის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით უნდა დადასტურდეს. საბჭო მუდმივად ღიაა დაინტერესებული პირების ჩართულობისთვის.

საბჭოს წევრები სასჯელალსრულების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით რეკომენდაციებს შეიმუშავენ, ასევე, შეისწავლიან სასჯელთა აღსრულების საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო უცხოურ გამოცდილებას. გარდა ამისა, სათათბირო ორგანო სასჯელთა აღსრულების სფეროში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების ახალიზს განახორციელებს. პენიტენციური სისტემის მასშტაბური რეფორმა სისტემის ევროპულ სტანდარტებთან მაქსიმალურ დაახლოებას გულისხმობს. შესაბამისად, ამ პროცესში საუკეთესო უცხოური პრაქტიკის გაზიარებას, საჭირო რეკომენდაციების გათვალისწინებასა და საზოგადოების ჩართულობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

„პია“



სასკოლო მზაობის პროგრამა თბილისის ყველა საჯარო ბაბა-ბაღში სრულად ამოქმედდა

თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვიანიძე, განათლების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და ბაბა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ თორდინავა სასკოლო მზაობის პროგრამის ღია გაკვეთილს დაესწრნენ.

სასკოლო მზაობის პროგრამის ღია გაკვეთილი 63-ე ბაბა-ბაღში ჩატარდა.

„სასკოლო მზაობის პროგრამა“, რომელიც თამაშით სწავლების მეთოდის გულისხმობს, 5-6 წლის ბავშვების სასკოლოდ მომზადებას ითვალისწინებს. პროგრამის მიზანია, ბავშვის სხვადასხვა მიმართულებით განვითარება, მოტორული, სოციალური, ემოციური და შემეცნებითი უნარების გამომუშავება, კომუნიკაციისა და მეტყველების განვითარება.

„თბილისის მასშტაბით სასკოლო მზაობის პროგრამა საბავშვო ბაბა-ბაღებში უკვე დაწესდა. 19 ოქტომბრიდან დაახლოებით 4600-მდე ბავშვი გადის ამ პროგრამას. ჩვენ აქტიურად ვემზადებით განათლების სამინისტროსთან ირაკლი ლექვიანიძემ.

ერთად ამ პროცესისთვის. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს რეგისტრაცია სასკოლო მზაობის ახალი ჯგუფებისთვის, რომელიც 2 ნოემბრიდან ჩაეშვება და რომელიც განთავსებული იქნება სხვადასხვა სკოლის ტერიტორიებზე“, — განაცხადა ირაკლი ლექვიანიძემ.

პროგრამა თბილისის ყველა ბაბა-ბაღში რამდენიმე დღის წინ ამოქმედდა. ამ პროგრამისათვის სასწავლო ოთახები განსხვავებულად მოწყობილი. სივრცეებზე დაიყო ჯგუფები და შეიქმნა სხვადასხვა აქტივობის ცენტრები. თითოეული ცენტრი შესაბამისი მეთოდოლოგიური მასალით აღიჭურვა. სასკოლო მზაობის პროგრამა 30 კვირის განმავლობაში, დღეში 3-საათიან დატვირთვას ითვალისწინებს.

ბავშვები, რომლებიც ბაღში არ დადიან, სასკოლო მზაობის პროგრამას სკოლებში სპეციალურად გახსნილ ჯგუფებში გაივლიან. მსურველთა რეგისტრაცია ბაბა-ბაღების მართვის სააგენტოს ვებ-გვერდზე www.kids.org.ge უკვე დაიწყო და 2 ნოემბრამდე გაგრძელდება.

„პია“

სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების, ანუ სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურში ახლაც მიდის. „იმ 9 წლის“ განმავლობაში არაერთი „შეთქმულება“ ვნახეთ 2006, 2007, 2010 წლებში. ვნახეთ, როგორ აღიძრა საქმე, დავისასხელეს ოპოზიციის ლიდერების გვარები და მათ რუსული საფრთხობელა მიაბეს, მაგრამ არც ვინმე დასჯილა და არც ნაციონალურ გადურჩენიანთა ქვეყანა კონსტიტუციური წესრიგის დარღვევისგან. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ახალ „შეთქმულება 2015“-ს ბევრი ეჭვითვალისწინებდა, მით უმეტეს, რამდენიმე თვის წინ „ოცნება“ ვეკონტროლებდა, ნაციონალური აჯანყებას აპირებენ და ცეცხლოვანი საბურავებით ირბენენ ქუჩებში. ამ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას უწყვეტ ფონად გასდევს ადამიანების ნამების კადრები, რომელსაც ხან პირდაპირ ეთერში გვირთავენ, ხან ქალაქების ცენტრალურ მოედნებზე, ხანაც უკრაინულ საიტებზე ვნახულობთ. პარალელურად, ოცნება-ნაციონალური ჯერჯერობით, ერთმანეთის ოფისებს ებრძვიან და ვიდრე მასობრივი თავ-პირის მტერევაზე გადასულან, მოქმედებას საჭირო. რა არის ადეკვატური ზომები შექმნილი ვითარებაში, ვის აძლევს ხელს ახლა ამ კადრების დატრიალება და ვინ რას მიიღებს ამ ბინძური თამაშიდან — „ვერსიამ“ ექსკლუზიური ინტერვიუ დამოუკიდებელ სასამართლო სამედიცინო ექსპერტ მაია ნიკოლევილიან ჩანერა, რომელიც, როგორც იგორ გორგაძის მომხრე, 315-ე მუხლის მსხვერპლი 2006 წელს გახდა. მაშინ მან ბრალი აღიარა, 6 წელი დუმდა, 2012 წელს კი თავისი საქმის გადახედვა მოითხოვა და პროკურატურას განცხადებით მიმართა. მასთან საუბარი სწორედ 2006 წლის მოვლენების გახსენებით დაიწყო და დღევანდელ ვითარებასთან პარალელის გაკვლევა ვახდენთ. დღეს მაია ნიკოლევილიანი პრეზიდენტის პოზიციის, შეთქმულების თეორიების, ნამების კადრებისა და ეროსი კინმარიშვილის სიკვდილის სრულიად ახალ კონტექსტებზე საუბრობს:



„ბიჰეზით იმას, რას არასდროს, არავისთვის მოიყოლია...“

რაც ითხოვს მარგვედაშვილის დაკითხვას, ვინ რა მიზნით ავრცელებს ნამების კადრებს, რა გეგმა ჩაუვარდა სააკაშვილს 2006 წელს და კინმარიშვილის გარდაცვალების რა ვერსია გაქვთ უახლოეს მომავალში

— ახლახან შევეძელი, 2006 წლის მოვლენებისთვის ცივი გონებით შემეხედა. ჩემი დღევანდელი მოსაზრებები არც ჩემთვის წაყენებულ ბრალს ემთხვევა, არც ჩემს იძულებით აღიარებით ჩვენებას და არც იმ 12 ადამიანის აზრს, ვინც 315-ე მუხლით ჩასვეს ციხეში. დღეს ვხედავ, რომ ხელისუფლებამ სასურველი შედეგი ვერ მიიღო და მოდით, გავხსნი ფრწილებს: ვფიქრობ, ეს დიდი სპექტაკლი, რომელიც 2006 წელს გათამაშდა, კოდორის თემას უნდა მივბოძა. ვფიქრობ, მე და იმ 12 ადამიანს კოდორის თემა უნდა მოგვბოძოდა და სრულიად სხვა იარაღი მოგვეკრებოდა, თითქოს, ჩვენ მიგვიძლევდა წვლილი კოდორის დაკარგვაში, რაც არ მოხდა 2006 წელს და სამწუხაროდ, 2008 წელს გაფორმდა.

— ეს დღეს გაიკეთა? ამაზე მაშინ რატომ არ გისაუბრიათ, ან ბრალში რატომ არაფერი ეწერა, ან აღიარებით ჩვენებაში. იმ პერიოდში, ხელისუფლებას დაეძაბა ურთიერთობა ემზარ კვიციანიანთან, მაგრამ ეს როგორ უნდა მივბოძო თქვენს შეთქმულებას?

— დამიჯერეთ, მაშინ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, მხოლოდ ახლა ვხვდები. ისე, რომ ჩვენ არაფერი უნდა გვეცოდნოდა, რაღაც როლის შესრულება გვბრალდებოდა კოდორის დაკარგვაში, ოღონდ 2006 წელს. ამიტომ, ჯანდაბალს ჩემი აღიარება, სადაც ვამბობ, რომ უნდა მეპოვა 500 კაცი, რომელსაც შევასრულებდი, გავემართებოდი პარლამენტისკენ, მოვკლავდი ჯერ ნინო ბურჯანაძეს, შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილს და ხელში ჩავიგდებდი სტრატეგიულ შენობებს. ფინალი სახელმწიფო გადატრიალება უნდა ყოფილიყო. მაშინ ჩემს აგარაკზე 30 ნიღბიანი დამადაცა, სახლს ალყა დაარტყეს, ცაში ვერტმფრენები დაფრინავდნენ და მთელ სოფელს უნდა გაეგო ჩემი აყვანის შესახებ. ეს მასშტაბურობა ფსიქოლოგიურ ზეწოლას ისახავდა მიზნად, რაც მოგვიანებით, თბილისში გაგრძელდა. ეს ხალხზე გათვლილი საანახაო იყო.

— და რა მოგო სააკაშვილმა ამ საანახობით?

— მაშინ სააკაშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა: სულ არ მაღარდებს იმ ადამიანების დაჭერა, ის უფრო მაღარდებს, საქართველომ უკრაინასთან თამაში რომ წააგო. გიყვებით იმას, რაც არასდროს, არავისთვის მომიყოლია: რატომღაც, ჩემი აგარაკი და ოფისი ვაჩხრიკეს, საცხოვრებელი სახლი კი — არა. როცა სახლში დავბრუნდი, ჩემი მუღღე გაგიტეხული დამხვდა. ჩემს ქალაქებსა და საბურავებში ერთი უცნაური თაბახის ფურცელი იპოვა, რომელიც პირველად ვნახე და ცუდად გავხიდი: ეს იყო რუსულენოვანი რუკა, რომელიც ეხატა კოდორის ხეობა და ეწერა „კოდორსკაია უმლეი“. ამ რუკაზე მონიშნული იყო იარაღის საცავის განლაგება, სტრატეგიული პუნქტები. თუმცა ეს ჩემს წინააღმდეგ არავის გამოუყენებია. რას ნიშნავდა ეს?! როგორც ჩანს, კოდორის ვარიანტი ჩაიფარება და ამ თემის გათამაშება აღარ დასჭირდა. სამაგიეროდ, ჩემი ცხოვრება დაიწყო ერთ დღეში. აი, რომ მოხვდებოდა მთელი შენი ცხოვრება ერთი დიდი ნავის გროვას! მაინც ყველაფერი ვაღიარე, რადგან ვიცოდი, ჩემს ოჯახს შეეხებოდნენ. დღეს კი მაღლობელი ვარ, რომ კოდორი 2006 წელს არ ჩაბარდა და ეს დღე საქართველოს ისტორიაში ჩემს გვართან ერთად არ ჩაინერა.

— ამაზე 2012 წელს თუ ისაუბრეთ, როცა საქმის გადახედვა მოითხოვეთ პროკურატურაში ან საერთოდ, რა ეტაპზეა ახლა ეს საქმე?

— ზუსტად ვიცოდი, არჩილ კბილაშვილის პროკურორობის დროს საქმეს ძვრაც არ ექნებოდა, ასეც მოხდა. დღეს კი ვიცი, ჩემი საქმე, ნადარეიმოშვილის დეტაქტაქტები, რაღაც დონეზე დაიდრა.

— „შეთქმულება 2015“ 2006 წლის მოვლენებს დიდად არ ჰგავს, თუმცა მუხლი, როგორც კოპონენტთან ბრძოლის მეთოდი, იგივეა. დღეს რა ხდება, თქვენი აზრით, რეალური საფრთხის წინაშე ვართ თუ „ოცნება“ მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს ამ მარკურ მუხლს?

— მაშინ ის ყველაფერი ბოდა იყო: მალხაზ გველუკაშვილის დაჭერაც შეთქმულების ბრალდებით, ირაკლი ბათიაშვილის დაჭერა

ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის და ა.შ. დღეს კი, რეალურად, არ ვიცი, რა ოპერატიული ინფორმაცია აქვთ. თუმცა ვიცი ის, რაც ხდება: დაუსრულებლად ვისმენ მონოდებებს ნაციონალური მოძრაობის მხრიდან და მახსენდება, რომ 2006 წელს, მსგავსი რადიკალური ფრაზები არათუ არ მითქვამს, თავში აზრადაც არ მომსულია. დღეს ბევრი პირდაპირი მონოდება კეთდება. მაგალითად, თამარ ჩერგოლიშვილი ამბობს, თუ „რუსთავი 2“-ის საქმე არ გამოვა, მაშინ გვაქვს „გეგმა ბე“-ო. ჩემი აზრით, ის ამის გამო უნდა დაიკითხოს. ასევე, ნიკა გვარამია ამბობს, თუ არ იქნება „რუსთავი 2“, არ იქნება 2016 წლის არჩევნები. ისმის ფრაზები, ჯოჯოხეთს გაგიტეხებთ, ჩვენ შეგცვლით და ა.შ. ეს რას ნიშნავს?

— ეს, ან თუნდაც გაურკვეველ საიტზე დადებული დიალოგები არის საკმარისი საფუძველი, გამოძიება 315-ე მუხლით დაიწყოს?

— ამ მუქარას კონტექსტიდან ამოგლეჯილად ნუ განვიხილავთ. ეს ერთი დიდი პროპაგანდისტული მანქანის ნაწილია: როცა „რუსთავი 2“-ის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, არხი სოციალურ უწყაყოფილების მუხტის ანევაზე მუშაობს, ტარდება შერჩევითი სოციალოგიური გამოკითხვები და ამ ყველაფერს პრეზიდენტის საცხელა აგვირგინებს, მოვლენებს სხვა ჭრილიდანაც შეხედავთ. რატომღაც, მარგველაშვილის გამოსვლისას, რეაქცია ყველას პირველ ნაწილზე ჰქონდა, როცა მან მოსამართლეზე ზეწოლა მართლაც სცადა. დიხ, მან ნამდვილად მოახდინა ზეწოლა სასამართლოზე, მაგრამ იქ იყო მეორე ნაწილი.

— მან თქვა, რომ საფრთხე ემუქრება კონსტიტუციურ წესრიგს ქვეყანაში და კონსტიტუციები დაიწყო. ამაზე ამბობთ?

— დიხ, მან სულ ორი ფრაზა თქვა: სამოქალაქო დაპირისპირებისა და კონსტიტუციური წესრიგის დარღვევის საფრთხე დგასო და ეს არ იყო ანონსი. რაღაც შეიძლება კვესიტიმდე დააანონსოს, მაგრამ პრეზიდენტები არ აანონსებენ, ისინი აკეთებენ განცხადებას, რომელსაც ძალიან დიდი წონა აქვს. პრეზიდენტს აქვს ინფორმაცია სახელმწიფო გადატრიალების მზადების შესახებ. ამის შემდეგ, პირველი ნაბიჯი პრეზიდენტის დაკითხვა!

— ვინ გამოეხმაურა ამ განცხადებას — მხოლოდ ოპოზიცია. მის არ ჰქონდა კომუნიკაცია არც პრეზიდენტთან, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ და მეტიც, იქვეა, რომ ვითარება სწორედ მან დაძაბა ამ განცხადებით.

— ჯერ ადამიანის ორჯონიკიძეობაში უნდა დარწმუნდე, ვიდრე მას მოლაპატეს დაუძახებ. ეს საკუთარ თავზეც გამოვცადე, როცა ქვეყნის ლაღობი დამაბრალეს. ნებისმიერ შემთხვევაში, პრეზიდენტი სასწრაფოდ უნდა დაიკითხოს და უნდა განმარტოს, რა ინფორმაცია აქვს, რატომ გააკეთა ასეთი განცხადება. თუმცა საიდან მოიტანეს კაცობა და სხვებმა, რომ ეს გამჭვირვალე პროცესი უნდა იყოს?! კონტრდაზვერვის გამჭვირვალედ მუშაობა მარაზში არ არის!

— გასაგებია, რომ დეტალებს არავინ გადმოგვილაგებს, მაგრამ, როცა ეს ბრალდება არავითარ მოგვისმენია, არც კონკრეტული ეჭვითანილები არსებობენ და არც ინფორმაციის წყარო კონკრეტდება, ამ ყველაფერს არასერიოზულობის ელფენიც ხომ აქვს?

— ხომ ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყანა სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების სათარეზოდ იქცა? ჩემი ამოსავალი ნერტილი არა გომელაურის, ჭიკაძის, ან ლარიაშვილის განცხადებებშია, არამედ პრეზიდენტის გამოცხადებაში. გარდა იმისა, რომ მარგველაშვილი გამოცდილი ინტელექტუალია, მას ჰყავს მრჩეველი, თენგიზ ფხალაძე, რომელმაც გიმოს სკოლა, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი გამოიარა და ჰყავს პოლიტიკურ კულურებში გამოცდილი ფიქრია ჩიხრაძე. ეს ადამიანები მის უკან დგანან და ამიტომ პრეზიდენტის მსგავსი განცხადებებს დიდი სერიოზულობით უნდა მოვეციოდით. მე ასე დავინახე მისი ორი ფრაზა: მოსამართლეს მოვუწოდებ, შეჩერდეს და არ მიიღოს ხისტი გადაწყვეტილება „რუსთავი 2“-ზე, თორემ ვიცი, რომ ქვეყანას გადატრიალების საფრთხე ემუქრებაო. აი, მოსამართლემ უკვე მერამდენედ გადადიო საბოლოო განაჩენის გამოტანის დღე, როგორც ჩანს, მან დაინყო დროს გაყენა. მარგველაშვილს კი არ აქვს კონტაქტი სხვა სახელისუფლო მტოვებთან, ამიტომ ეს ინფორმაცია პირდაპირ საჯაროდ გააჟღერა — სხვა გზა არ ჰქონდა. გომელაურისა და სხვა სამსახურების როლი

კი იმაშია, გამოიძიონ, ხომ არ დგას პრეზიდენტი დიღემის წინაშე და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხომ არ მოუწოდებს მოსამართლეს სახალხოდ, რათა სისხლისღვრა აირიდონ თავიდან. ამას შედეგად ტალახის სროლა მოჰყვა, სამაგიეროდ, ამოქმედდა უშიშროების სამსახური და გამოძიება 315-ე მუხლით დაიწყო.

— ამათაში, ერთი მხრივ, ნაციონალურ ოფისებს ლეზავენ, მეორე მხრივ, „ოცნების“ ოფისებზე აკრავენ ცოცხებს. ამ ყველაფერს ფონად გასდევს ნამების, გაუპატიურების, ციხის კადრები, რაც ახლახან უკრაინაში გავრცელდა, მეორე „რუსთავი 2“-ის სიუჟეტში ყველაფერი „ოცნების“ საწინააღმდეგოდ შემოტრიალდა და კონტრესტიდან ამოგლეჯილად გაიფურა ეროსი კინმარიშვილის გვარმა. რატომ ხდება ეს ყველაფერი ახლა, ამ ფორმით და ეს ხომ არ არის სამოქალაქო დაპირისპირების დასაწყისი?

— ვფიქრობ, ოფისების შედეგა ნერტილოვანი დარტყმებია, ასე ვთქვათ, დამნაშავეების „მონიშვნა“ და მათთვის შეხსენება, ვინ არიან. ნაციონალურ მოქმედება კი უბრალოდ, პასუხია. თავდასხმა ხომ საუკეთესო თავდაცვაა. სხვათა შორის, სწორედ ამ რეჟიმში მუშაობს „რუსთავი 2“ სამი წელია. რაც შეეხება ამ უმძიმეს კადრებს: ეს „ვიკილიქსი“ რუსეთისაა, უკრაინის თუ სხვა ქვეყნის, არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია, ვიცით, რომ ე.წ. სამეგრელოს კადრები ნამდვილია. რაც შეეხება ეროსის ხსენებას,

— ეს რას ნიშნავს, რატომ ეროსი?

— იმიტომ რომ, ის „რუსთავი 2“-ის სიმბოლოა, მისი სიკვდილის ფაქტი კი არ არის გამოძიებული. მისმა გვარმა ამ ისედაც მძიმე სიუჟეტის ფინალი კიდევ უფრო გაამძაფრა. აქ შინაარსს არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, ქვეცნობიერში ვფარს და სახელი დარჩა. ამის მეორე, დიდი ალბათობით, ამ ხაზის გაგრძელებას ველოდები.

— რას ელოდებით, როგორც კინმარიშვილის ოჯახის მიერ აყვანილი დამოუკიდებელი ექსპერტი, გამოდის, ცოტა ხანში მისი მკვლელობის კვანძი გაიხსნება?

— იმ მესიჯიდან გამომდინარე, რაც ეთერში ვიხილეთ, ცოტა ხანში, ძალიან მძაფრად დადგება ეროსი კინმარიშვილის საკითხი. ეს საქმე ძალიან ჰგავს სანაიასა და ლონდაძის საქმეს. თუმცა, ეს ან თვითმკვლელობა იყო, ან თვითმკვლელობამდე მიყვანა. ამ ტერმინებს მე უკვე ნამდვილად ვეღარ დავაზუსტებ, ეს გამოძიების საქმეა. ვამბობ, როგორც სამედიცინო ექსპერტი და ჩემს სიტყვებზე ვაგებ პასუხს — ეროსი კინმარიშვილის ცეცხლსასროლი იარაღით სიკვდილის დროს, იქ მეორე ადამიანი არ იმყოფებოდა, თუკი ის რაიმე არაბუნებრივ მდგომარეობაში არ იყო, მაგალითად, თოკით ეკიდა ა.შ.

— თუმცა ეს აპრიორი არ ამტკიცებს, რომ კინმარიშვილმა თავი მოკლა.

— ნებისმიერ მკვლელობას სჭირდება შემსრულებელი, შემსრულებლის კვალი კი არ ჩანს. ამიტომ ვფიქრობ, გადაცემამ უშიშარსოდ მიბმულ გვარს, ახლო მომავალში, მოყვება მოტივი, რატომ შეძლოდა მოკლათ ეროსი და ეს იქნება სრულიად ახალი ვერსია.

— ციხის და სამეგრელოს კადრებთან დაკავშირებული?

— არ ვიცი, ალბათ, ეს ნებისმიერ შემთხვევაში, მიეხება ხელი-სუფლებას. ამ კადრებს რაც შეეხება, უკრაინაში სერიოზული ბრძოლა მიდის, რუსეთს, სააკაშვილს და მის პროდასავლურ ვენდას და ძირძველ, ტრადიციულ უკრაინელებს შორის. იქ ეს ხან ძალია უპირისპირდება ერთმანეთს და თუკი ამ პატიარა საქართველოში ამდენ ტექნოლოგიას იყენებენ, ამას რატომ ვერ იზამენ უკრაინაში? თან, ახლა მერის არჩევნები მიდის ოდესაში და სააკაშვილის კაცი, ფაქტობრივად, აგებს.

— ანუ ეს კადრები საქართველოს შიდაპოლიტიკისთვის კი არაა, სააკაშვილს დაუდეს რუსებმა უკრაინაში და ჩვენ უბრალოდ კიდევ ერთხელ ავიტაცეთ?

— ეს იმათი შიდაბრძოლაა, სააკაშვილი კი იმის მაგალითი, რომ მოყვანილი, ექსპორტირებული ლიდერი ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს და ამაში უკრაინელებს ამ კადრები არანაშენებენ. ნახეთ, თავის სამშობლოში რას აკეთებს და აქ რას იზამსო? ვფიქრობ, ამით ორ კურდღელს იჭერენ ორ ქვეყანაში, განწყობის შექმნის თვალსაზრისით. თანაც, ყველამ იცის, რომ უკრაინაში წყდება საქართველოს ბედი.

— არჩევნები მოდის, ფაქტია, მოვლენების განვითარება ორივე პოლიტიკურ ცენტრს აზარალებს. იმის გათვალისწინებით, რომ ფარული ჩანანერებით, კადრებით, ნამებითა და შეთქმულებებით სააკაშვილმა 2012 წელი და საყოველთაო წყრომა მიიღო, რას მიიღებს „ქართული ოცნება“?

— თუ ადამიანს სიმშვიდემ აცხოვრებ, ხელისუფლების მესიჯებს უფრო გაფილტრავს, მის მოქმედებებს ცივი გონებით შეაფასებს. ეს პროპაგანდაა, ტყუილი, „დაბოლება“ და ადამიანის ფსიქიკა ინფორმაციას მაშინ ვერ ფილტრავს, როცა ძლიერი სტრესის ქვეშაა, როცა მუდმივად დაძაბული ფონია. სწორედ ამისთვისაა საჭირო ეს კადრებიც და ყველაფერი დანარჩენიც. ამ ვითარებაში კი რა უნდა ქნას „ოცნებამ“, ამ დიდ საერთაშორისო პროცესებს ესენი შეაჩერებენ! ამიტომ ისევ მარგველაშვილსა და მის გამოცდილ მრჩეველებს დაუბრუნდები, რომელთაც გლობალური პოლიტიკის ჭრილში შეუძლიათ საკითხის დასმა: პრეზიდენტმა თავისი სათქმელი თქვა. დღეს „რუსთავი 2“-ის პერიოდების დაცვა და მოსამართლის მიერ ჯერ არგამოტანილი განაჩენი ცამის მოკვლევიანი შედეგი მგონია. ჯერი საგამოძიებო უწყებებზეა.

აქსკლუზიური ინტერვიუ საქართველოში ამერიკული საბჭოების ღირებურობით

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ტიმოთი ბლაუვერტი საქართველოში ამერიკული საბჭოების დირექტორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევების ასოცირებული პროფესორიც გახლავთ. 1999 წლიდან საქართველოში ცხოვრობს. ჰყავს ქართველი მეუღლე და ქალ-ვაჟი. როგორია უცხოელის თვალთ დასახული საქართველო და რა ცვლილებებს ხედავს წლების განმავლობაში, ტიმოთი ბლაუვერტის ინტერვიუდან შეიტყობთ.

ტიმოთი ბლაუვერტი: „აშშ-ში განათლების მიღების მსურველებს შორის ქართველები დიდობენ“

შალვა ელიაშვილი... — მათ ყველაზე ადრე გაიაზრეს, რომ ეს მე-
თოდი მუშაობს. სწორედ ასეთი არაფორმალური ქსელებით
შეძლეს ფონს გასვლა მთელი იმპერიის პერიოდში, რადგან
წარსულში ქართველებს უდიდესი გამოცდილება ჰქონდათ,
როგორ დაეჯილდოვებინათ ან დაესაჯათ ესა თუ ის მათი
„კლიენტები“.

— თქვენ ნატურალიზებული მოქალაქე ხართ?
— არა. ჩემს შვილებს ორმაგი მოქალაქეობა აქვთ, მე კი
მხოლოდ აშშ-ს მოქალაქე ვარ. საქართველოში მუდმივი მო-
ბინადრის სტატუსით ვსარგებლობ.

აქ იმიტომ მომწონს ცხოვრება, რომ ამ ქვეყნის ისტორია
და პოლიტიკა მაინტერესებს. ასევე, მსიბლავს ამ რეგიონის
დინამიურობა — აქ ხომ ცოცხალი ისტორია იქმნება! ჩემი
ქვეყანაში ასე არ არის. ყველა, ვინც დაინტერესებულია რე-
გიონით, ადრე თუ გვიან, აქ ჩამოდის. აქ ყოფნა, მუდმივად რე-
გიონულ კვლევით კონფერენციაზე დასწრებას ჰყავს. სადაც
დიდხანს ცხოვრობ, იქაურობას ეჩვევი. საქართველოს გარდა,
უცხოეთში (რუსეთსა და უკრაინაში) მხოლოდ მცირე ხნით
ვცხოვრობდი. ვფიქრობ, 13 წლის მერე, ვეღარ დავბრუნდები
ამერიკაში. ბევრი რამ შეიცვალა შტატებში, ჩემში... ვიცი, რო-
გორია ცხოვრება აქ, მაგრამ აღარ ვიცი, როგორია იქ.

— იქაური ცვლილებებიც თვალშისაცემია, როგორც
ჩანს...

— წელიწადში, მხოლოდ რამდენიმე კვირით ჩავდივარ
ამერიკაში. წარმოდგენა არ მაქვს, მაგალითად, როგორ მუშა-
ობენ მობილური ტელეფონები აშშ-ში. უამრავი ასეთი წვრილ-
მანია. აქ ძალიან ბევრი ამერიკელია. უამრავი ქართველი
მეგობარი მყავს, განსაკუთრებით, ისინი, რომლებიც იყვნენ
რომელიმე უცხო ქვეყანაში და სამშობლოს დაუბრუნდნენ.
ადრე, გაცილებით ძნელი იყო საზღვარგარეთ ყოფნა, მაგრამ
ახლა, როცა ინტერნეტი განვითარდა და ყველაფერზე წვდო-
მა გაიოლდა, ხშირად ისეთი გრძობა მაქვს, აღარ ვიცი, სად
ვცხოვრობ. შეიძლება, 30%-ით ანუ ფიზიკურად აქ ვარ, მაგრამ
„ჩემი დანარჩენი“ სხვა ქვეყნებშია. რაც შეეხება ცვლილებებს
ჩემში, იმ ბაყაყს ვგაგვარ, რომელსაც მდულარე წყალში მოა-
თავებენ — ცვლილებები სახეზეა, მაგრამ მან ამის შესახებ
არაფერი იცის. ფაქტია, ნაცნობობით საქმეების მოგვარებას
გარკვეულწილად მეც მივეჩვიე. არის ისეთი საკითხებიც,
რომლებსაც ვერაფრით ვეგუებო და დღემდე მალიზიანებს. მა-
გალითად, პუნქტუალობა. ამდენი წლის მერეც კი, არასდროს
არსად ვაგვიანებ და მაგონია, სხვებიც ასე მოიქცევიან. თუმცა,
ეს სიგიჟეა, რადგან აქ დროზე არავინ მოდის.

— ბევრი უცხოელი ამბობს, რომ აქ ნაკლებად სტრესუ-
ლი გარემოა, რაც მოსწონთ. ეთანხმებით?

— ნამდვილად ასეა. ტემპი ამერიკაში გაცილებით მაღა-
ლია, თქვენ რიტმს კი შევჩვევი, თუმცა არის რალაცები, რაც
თვით ქართველებსაც აღიზიანებს. მაგალითად, როცა ოფისში
მოდის ადამიანი და ჩემს თანამშრომლებს ეუბნება: ჩვენ ხომ
ორივე ქართველები ვართ, იქნებ, გამონაკლისი დაუშვა, არ
გვინდა წესების დაცვაო. სამაგიეროდ, საოცრად დადები-
თია, თქვენი სტუმართმოყვარეობა, მაგრამ ეს, ზოგადად,
ევრაზიული ფენომენია. თუ ვინმე გაგიცნობს, „მისიანი“ ხარ.



გადაგყვება, ყველაფერს გააკეთებს, რომ დაგეხმაროს, ზოგ-
ჯერ ზედმეტადაც კი ირჯება. თუმცა, უცნობთან, შეიძლება
საოცრად უხეშები და აგრესიულები იყვნენ ტრანსპორტში,
ქუჩაში... ამერიკელები განსხვავებულია, უფრო დაბალან-
სებული ვართ. ჩვენ გვაქვს ზოგადი კეთილგანწყობა და
თავაზიანობა. უფრო ცივილიზირებული ვართ, მაგრამ არ ვართ უხეშები.
უკიდურესობა არამარტო ქართველებს, არამედ ზოგადად, ამ
რეგიონს ახასიათებს. ასევე, ვგიჟდები იმაზე, როგორ მიდიან
ურიგოდ.

— თქვენი შვილები, უფრო ვის გვანან და მათი მომავალი
როგორ გეხსიან?

— ნატა 8 წლისაა, თომა კი — 5-ის. ჩემი მეუღლე მათ მხო-
ლოდ ქართულად ესაუბრება. ზოგჯერ, რალაც გაუგებრობები
გვქონია, მაგრამ თავს ვართმევთ. უცხოელები გაცილებით
რბილი ქმრები ვართ. ჩვენი და თქვენი იუმორი საკმაოდ შე-
თავსებადია და მაგონია, ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო, რატომაც
გავუგეთ ერთმანეთს. თქვენთან ბევრი ფორმალობაა. მაგა-
ლითად, ჩემი ცოლი დღემდე ორჯერ ურეკავს მშობლებს, რომ
შინ მშვიდობით მივიდა. ეს თქვენი ნორია. ისიც, რომ უნდა
დაეხმაროთ ბიძაშვილის მეგობარსაც კი. ჩვენთან ასე არ არის.
როგორც უცხოელს, ჩემი ცოლი მინდობს ხოლმე მსგავსი ვალ-
დებულებებისგან (იცინის).

— საქართველოში თქვენი საყვარელი ადგილი რომე-
ლია?

— უცხოელების უმეტესობას უყვარს სვანეთი ან კახეთი,
მე კი ყველაფერს ძველი თბილისი მიწაზეა — მომაჯადოე-
ბელია. ეს არის მულტიკულტურული ადგილი, სადაც აზერბა-
იჯანელები, სომხები, ქურთები... იყრიან თავს. ეს ყველაფერი
კი ქართულ ცხოვრებას, მის კულტურას, ხელოვნებასა და ლი-
ტერატურას ამდიდრებს. თბილისი, გადატვირთული ქალაქია,
რაც ურბანული დაგეგმარებისა და პარკინგების ნაკლებობის,
ასევე მოძველებული ინფრასტრუქტურის ბრალია, თორემ
მოსახლეობა შემცირდა და ბევრი ემიგრანტი ჰყავს საქარ-
თველოს. რეგიონებიდანაც ბევრი ჩამოდის საქართველოში
და უცხოელმა მიგრანტებმაც არ შეგაშინონ — ეს ცუდი არაა.
არც ჩინელების შეგუბნდით, რადგან ისინი ყველაზე წარმატე-
ბული არიან, ბევრს შრომობენ და შეუძლიათ, ეკონომიკურ
განვითარებაშიც დაგეხმარონ.

— ქართულ კულტურას კარგად იცნობთ?

— ქართულ ლიტერატურას ვკითხულობ, ოღონდ რუსუ-
ლად. ძალიან მიყვარს კონსტანტინე გამსახურდია, განსა-
კუთრებით, „მთვარის მოტაცება“; ასევე, ნაიკიტიხე ჭაბუა
ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“. თქვენი ხელოვნება ძალიან
მდიდარია ნაწილობრივ სწორედ ზემოთხსენებული მულტი-
კულტურული მიზეზით. ასევე, იმიტომაც, რომ ქართველებმა ბევრი
გაჭირვება გამოიარეთ და ამ ყველაფერმა ანარეკლი ჰპოვა
ხელოვნებაში. დემონსტრაციული ხარტ ზოგადად და ექ-
სპრესიულები, რაც ხელოვნებას ძალიან უხდება. უდიდესი
კომპოზიტორები და კინორეჟისორები გყავთ — კონემატოგ-
რაფი რენესანსის პერიოდის გასაოცარია.

— თქვენი სასწავლო პროგრამების შესახებაც გვესა-
უბრეთ.

— ჩვენ რამდენიმე პროგრამა გვაქვს. ჩვენი ძირითადი მი-
მართულებაა „ფლექსი“ უფროსკლასელებისთვის, რომელიც
25 წელს ითვლის საქართველოში. ისინი 1 წლით მიდიან და
ამერიკულ ოჯახებში ცხოვრობენ. როგორც წესი, 45 ბავშვის
გუშვებთ ყოველ წელს; ასევე გვაქვს ახალგაზრდა პროფესი-
ონალებისთვის პროგრამა, რომელიც 6-თვიან სტაჟირებას
გულისხმობს. ვაგ ზავნით უნივერსიტეტის მკვლევარებს და
აკადემიკოსებსაც, რომელსაც „კარნეგის სტიპენდია“ ჰქვია.
ასევე, გვაქვს საზაფხულო პროგრამები ამერიკელი სტუ-
დენტებისთვის, რომელსაც ილიას უნივერსიტეტთან ერთად
ვახორციელებთ. ამდენი დაინტერესებული პირი თითქმის
არსად არის, როგორც საქართველოს ამერიკის საბჭოებში,
რადგან თქვენ ნამდვილად აფასებთ ასეთ საგანმანათლებლო
შესაძლებლობებს.

— საქართველოში თავიდან ერთი სემესტრით ჩამოვედი,
მაგრამ 2002 წელს დავბრუნდი და მას შემდეგ უკვე 13 წელია აქ
ვცხოვრობ. ამ ხნის განმავლობაში თვალშისაცემია ცვლილე-
ბები. დღეს, 90-იან წლებს თუ შევადარებთ, საქართველო სრუ-
ლიად სხვა ქვეყანაა. ასე რომ არ იყოს, აქ არც დავრჩებოდი.

— რა იყო მთავარი ფაქტორი, რამაც ჩვენს ქვეყანაში
დარჩენა გადაგანწყვიტინათ?

— 13 წლის წინ რომ გეთქვათ, 13 წლის მერეც აქ იქნებოდა,
არ დავიჯერებდი. პირველი წასვლის მერე, ერთი წლით პროგ-
რამა „ფულბრაიტის“ მასწავლებლად დავბრუნდი. ლექციებს
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვკითხულობდი.
მაშინ, აშშ-ს საგარეო პოლიტიკას და მის საგანმანათლებლო
სისტემას ვასწავლიდი. წასვლის მერე, რამდენიმე თვეში, ისევ
გამოჩნდა შესაძლებლობა და დავბრუნდი. ახლა ვასწავლი
საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ისტორიას და ასევე კავკასი-
ის საკითხებს, ცივი ომს, ცენტრალური აზიის ისტორიასა და
პოლიტიკას.

— ბევრი მიიჩნევს, რომ რეალურად, ცივი ომი დღესაც
გრძელდება. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— ცივი ომი დამთავრდა, რადგან აღარ არის კომუნიზმი,
თუმცა არის „მემკვიდრეობა“. დღევანდელი კონფლიქტი რუ-
სეთსა და დასავლეთს შორის იდეოლოგიური ხასიათისაა, თუ
რა გზით უნდა წავიდეს საზოგადოების განვითარება.

— როგორც ისტორიკოსი, ამჩნევთ, რომ საქართველოს
ახალი ხელისუფლების საგარეო კურსი შეიცვალა?

— დიას, ის ახლა ნაკლებად აგრესიული და პროვოკაციუ-
ლია რუსეთის მიმართ. არ ვიცი, რა არის მათი საბოლოო მიზა-
ნი, ალბათ, ეს არცთუ ბევრმა ადამიანმა იცის საქართველოში,
მაგრამ ვფიქრობ, დადებითი მოვლენაა, როცა აგრესიულ
მეზობელთან ერთხილად ხარ.

— საბჭოთა მემკვიდრეობა ახსენეთ. ქართულ მენტა-
ლიტეტში პოსტსაბჭოთა შტრიხები თქვენთვის დღესაც
თვალშისაცემია?

— არის ასეთი ნარჩენების რიგი არამარტო საბჭოთა, არა-
მედ უფრო ადრინდელი პერიოდიდან. ასეთია, მაგალითად,
დამოკიდებულება წესების, კანონებისა და ფორმალობების
მიმართ. ეს კანონები ხომ სხვა ერებმა შექმნეს და მათ მი-
მართ გარკვეული პროტესტი იყო. ახლა, ნელ-ნელა ხვდებიან,
რომ ფორმალობებისა და წესების უპატივცემულობა, არც
ისე კარგია. შეინიშნებოდა ასევე, როგორც ჩვენ ვუწოდებთ,
„არაფორმალური კლიენტალიზმიც“, რომლის საფუძველზეც,
მოყავდათ ადამიანები სამსახურში და თუ ისჯებოდნენ, ისევ
შინაურ წრეში და არა სასამართლოში. ეს არაფორმალური
კავშირები, სხვა ქვეყნებშიც არის, მაგრამ განსაკუთრებით
მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ კავკასიაში. საქართველოც
იმიტომ გახდა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე წარ-
მატებული, რომ ამ მექანიზმებს იყენებდა. იმიტომ მართავდა
საბჭოთა იმპერიას ამდენი ქართველი — სტალინი, ბერია,

პერსიანიუსი

„მედიის თავისუფლება იჭვბაჩუხე უნდა მინდობო პრინციპი“

ნატო-ს სპეციალური წარმომადგენლის ჯეიმს აბატურაის
განცხადებით, ნატო საქართველოში რეფორმებს როგორც
სამხედრო მიმართულებით, ასევე, დემოკრატიული საზოგა-
დოების მშენებლობის თვალსაზრისითაც აკვირდება.

ამის შესახებ აბატურაიმ თავდაცვის სამინისტროში, მინ-
ისტრ თინა ხიდაშელთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფ-
ინგზე განაცხადა.

კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია მედიის თავისუ-
ფლების საკითხი ნატო-სთან ინტეგრაციის გზაზე, ნატო-ს
სპეციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მედიის თავ-
ისუფლება ყოველ ეჭვგარეშე ფუნდამენტური პრინციპია,
სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასთან ერთად:
„ნატო ყურადღებით აკვირდება სამხედრო მიმართულების
რეფორმებს, ასევე, დემოკრატიული საზოგადოების მშენე-
ბლობის პროცესს და ეს გაცილებით მნიშვნელოვნად უღერს
იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ნატო-ს წევრობისკენ იღვნიან.
მედიის თავისუფლება ყოველ ეჭვგარეშე ფუნდამენტური
პრინციპი გახლავთ იმასთან ერთად, რასაც სასამართლო
სისტემის დამოუკიდებლობა ჰქვია. ასევე, უმნიშვნელოვანესია თავისებურად მომნიშვნელოვანი დემოკრატიული გარემო,
სადაც ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად მუშაობს ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად და ყველა
შტო თანამშრომლობს ამ მიმართულებით. დარწმუნებული ვარ, ეს პრინციპი ასევე ძალზე მნიშვნელოვანია საქარ-
თველოშიც“.



„პია“



25-წლიანი მოქალაქეობის წრე

რა არის ზვიად გამსახურდიას და „ოცნების“ საერთო შეცდომა და რით ჰკავს ნაციონალიზმი კომპარტიას



ნიმე კომპანიძე
599-95-33-16

ზუსტად 25 წლის წინ, 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში პირველი, მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ ორ ათეულზე მეტი წლის წინ, ხელისუფლებათა ცვლის გზად არჩევნები აირჩია და მას მერე, ამ არჩევნით და სხვათა შორის, ამ საარჩევნო კოდექსით მოვიდეთ. თუმცა ყველა მომდევნო არჩევნები ან რევოლუციური იყო, ან ვადამდელი, ან გაყალბებული და უკიდურესად არადემოკრატიული. ერთი შეხედვით, ეს მოქალაქეობის წრე 2012 წლის 1 ოქტომბერს გავარდნივით, თუმცა ახლაც ისევ იქ ვართ, სადაც 1990 წლის 28 ოქტომბერს ვიყავით — ზუსტად იგივე პოლიტიკური შეცდომებისა და სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე. უბრალოდ, მთავარი გმირები შეიცვალნენ: თუკი მაშინ ზვიად გამსახურდიას პარლამენტი კომუნისტური პარტიის წევრები გაყარა პარლამენტიდან, რითაც ძირი, პირველ რიგში, საკუთარ ხელისუფლებას გამოუთხარა, ახლა იგივეს ზვიადის ივანიშვილის პარლამენტი და მთავრობა აკეთებს, მსგავსი რიტორიკით: ნაციონალური მოძრაობა რეჟიმად უნდა გამოცხადდეს და აიკრძალოს, ნაციონალი დეპუტატები პარლამენტიდან უნდა გაეყაროს, ჭადროს ხეებზე დაკიდოთ და ა.შ. სად დაუშვა შეცდომა გამსახურდიას ხელისუფლებამ და რატომ მიდის იგივე შეცდომაზე „ქართული ოცნება“ — მაშინდელი და დღევანდელი ვითარების ანალიზი 90-იანი წლების მოვლენების ერთ-ერთ მთავარ გმირსა და გამსახურდიას პარლამენტის თავმჯდომარეს, პაპაი ასათიანს ვთხოვეთ.

— დღევანდელი ვითარება მაშინდელს მართლაც ჰკავს. მაშინ ხელისუფლებაში კომპარტია იყო, რომელმაც 1990 წელს, ნაციონალიზმისგან განსხვავებით, მართლა პატიოსანი არჩევნები ჩაატარა. ნაციონალიზმმა კი, 2012 წელს ის 40%-იცი დიდი მანძილზე დაიკავა. ისე, შედეგების თვალსაზრისით, ორივემ, ნაციონალიზმმა და კომპარტიამაც დაახლოებით ერთი და იგივე პროცენტში მიიღო. უბრალოდ, ერთი განსხვავება იყო — გამსახურდიას „მრგვალმა მაგიდამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ არ ჰკავს. რა თქმა უნდა, სირთულეებს გადავანწყდით, მთავარი პრობლემა კი ის აღმოჩნდა, რომ გამარჯვებულმა სწორად უნდა გამოგვეყენებინა. პირველ ეტაპზე, ხელისუფლებამ ბევრი სწორი გადაწყვეტილება მიიღო: საბჭოთა დღესასწაულები გაუქმდა და საეკლესიო დღესასწაულები შემოვიღეთ, საბჭოთა კავშირთან შეერთების რეფერენდუმზე უარი ვთქვით, მივიღეთ ჩვენი დეკლარაცია დამოუკიდებლობის შესახებ, ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ძალიან საინტერესოდ დაკომპლექტდა საკრებულოები. რაც შეეხება კომუნისტურ პარტიას და მის ნაციონალიზმთან მსგავსებას, დიახ, ორივე ხელისუფლებაში იყო და ორივე დარჩა პარლამენტში, ოპოზიციის სახით. თუმცა კომპარტიის პარლამენტიდან გაყარის მოთხოვნა, რეალურად, მოსკოვში პუტჩის გამო წავიდა. პუტჩისტი საბჭოთა მთავრობის შენარჩუნებას ცდილობდნენ, თუმცა სინამდვილეში, ამ პუტჩმა დაშალა საბჭოთა კავშირი და ვინც ჯერ კიდევ ფიქრობდა საბჭოთა დარჩენას, იმათაც გასწრებაზე დაიწყეს ფიქრი, მაგალითად, ცენტრალური აზიის რესპუბლიკებმა. მანამდე კი ჩვენ, ბალტიისპირეთის ქვეყნები და მოლოდინი ვიყავით ამ ბრძოლის ავანგარდში. ჩვენმა კომპარტიამაც დაუჭირა მხარი მოსკოვის პუტჩს და სწორედ ამის საფუძველზე გარიცხეს უზენაესი საბჭოდან დეპუტატები.

— სწორედ ამ გადაწყვეტილებას მიიჩნევენ გამსახურდიას შეცდომად. ხომ არ უშვებს იგივე შეცდომას ახლა „ოცნება“?
— სიმართლე გითხრათ, მეც მიმაჩნია, რომ ეს შეცდომა იყო, რასაც, თავის დროზე, წინ ვერ აღვუდგე. ამის წინააღმდეგი ნამდვილად ვიყავი, მაგრამ ვერაფერი გავაკეთე. იყო მოწოდებები, კომპარტიის წევრები საერთოდ დავიჭიროთო, დააკავს კიდევ რამდენიმე დღე და მერე გამოუშვებს. თუმცა მათი დაკავების სამართლებრივი საფუძველი, სხვა, ნორმალური ვითარებაში, ალბათ იქნებოდა. იმ ვითარებაში კი, უზენაესი საბჭოს წევრების დაპატიმრება და გარიცხვა არასწორი იყო.
— როგორც ცნობილია, კომპარტიის წევრები მერე ოპოზიციაში გადავიდნენ, თენგიზ კიტოვას შეეკრნენ, შეიარაღეს, დააფინანსეს, გააძლიერეს და პროცესები დაძაბეს ქვეყნის შიგნით. კომუნისტური პარტიის მსგავსებას ნაციონალიზმთან ამ ნაწილშიც ხედავთ?

პარლამენტიდან გამოყრილმა ოპოზიციამ პროცესები უბრალოდ კი არ დაძაბა, 1991-1992 წლის მოვლენები გამოიწვია. სამოქალაქო ომი მოხდა, რასაც ჩვენი ქვეყანა მეორედ ვეღარ გადაიტანს. დიახ, გამსახურდიას ეს გადაწყვეტილება სწორი ნამდვილად არ იყო, რადგან ის დეპუტატებიც ხალხმა აირჩია და პარლამენტიდან მათი გაყარის პროცესი მომავალ არჩევნებამდე უნდა გადადებულიყო, თუ კონკრეტული პირები სისხლის სამართლის დანაშაულს არ ჩაიდენდნენ. თუ არადა, ვადამდელი არჩევნები მაინც უნდა ჩატარებულიყო.

თუმცა კომუნისტური პარტია ბევრ სოციალისტურ ქვეყანაში აიკრძალა, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია, მათ შორის, ერთხანს, რუსეთშიც. ამ პარტიამ ჩვენთან 70 წლის განმავლობაში, მასობრივი რეპრესიები გაატარა, ჰქონდა ბანაკები, კაგებე და ა.შ. როცა ნაციონალიზმმა საუბარი, ის კომპარტიის მასშტაბებთან ახლოსაც ვერ მივა. ამიტომ აჯობებს, „ოცნებამ“ მის ბოლომდე დამარცხებაზე იფიქროს და ამით დაკავდეს. მან ვერ მოახერხა ნაციონალიზმისგან ყველაფრით განსხვავებული ყოფილიყო. როცა მსგავსება არის, თუნდაც რბილი ფორმით, ეს ცუდია. თუ ნაციონალიზმი „იმედში“ სპეციალურად და ავტომატურად შევიდნენ, „ოცნება“ ამას სხვა ფორმით, მაგრამ მაინც აკეთებს. პროგრესი არის, მაგრამ მხოლოდ ფორმაში და არა შინაარსში.

— თუმცა, დღეს დაძაბულობა მხოლოდ ტელეარხის გარშემო კი არა, ფაქტობრივად, მიუღს ქვეყანაში, რადგან ნაციონალიზმი ოფისების აჭედვა თუ გადაღებვა ისევ გრძელდება, მეორე მხრივ კი თავად ყოფილი ხელისუფლების აქტივისტებმაც დაიწყეს „ოცნების“ ოფისებზე თავდასხმა. ამან სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს?
— პირველ რიგში, არ მგონია, „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტიდან ნაციონალიზმის გაყვანა მოითხოვოს. ცნობილი გამოთქმაა, ისტორია კი არ მორდება, უბრალოდ, თავიდან დრამა და მერე კომედია. ასეთი ვითარება ახლაც: მაშინ პროცესები დრამატულად განვითარდა, ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო. დღევანდელი ვითარება კი სამოქალაქო ომის წინაპირობა არ არის, ორი უგნური პარტიის აქტივისტების სტიქიური შეჯახებებია. ეს ამბავი ასეც დასრულდება — ორპარტიული დაპირისპირება მოხდება, რასაც ქართველი ხალხი არც აყვება და არც გადაყვება. გამოუყვით ამ ადამიანებს ერთი ადგილი, სადმე ქალაქგარეთ, ჩავაყვით იქ და ისე უქნით, სულ ცხვირ-პირი დაუღუწიან ერთმანეთს. თავისთავად, ნაციონალიზმის ოფისებზე თავდასხმა კარგი ნამდვილად არ არის. სამწუხაროდ, „ოცნებაში“, რომელიც ყოველად გაუგებარი ლოგიკითაა გაერთიანებული, პოლიტიკოსები არ არიან, ამ პროცესის სიმწვავე რომ დაინახონ. ალბათ, ფიქრობენ, ამ ფორმით ნაციონალიზმს შეამჩნებენ, ან მივიჩნე ხალხს დანაშაულებრივად, რეალური პრობლემების გადაფარვით. ხელისუფლების მხრიდან ასეთი შეფასებაც კი იყო, ხალხი თავად აღასრულებს სამართალს, რაც მხოლოდ მათ უნიათობაზე მიუთითებს. ვერ ხვდებიან, რომ ნაციონალიზმზე გაბრაზებული ხალხი „ოცნების“ მხარდამჭერი არ არის. მეორე მხრივ, არც იმედგაცრუებული მოსახლეობა უნდა ჩაინეროს ნაციონალიზმსა და საკუთარ აქტივში. რეალურად, დიდი თავისუფალი სივრცე შეიქმნა, რომელსაც, ალბათ, ვიღაც სხვა, ახალი ძალა დაიკავებს. თორემ ნაციონალიზმის რეაქტივი 13%-ზე ავიდა, რაც მათი სტაბილური ამომრჩეველია. „ოცნებისა“ კი — 13%-ზე ჩამოვიდა და ახლა ეს ორი ცამეტპროცენტეანი პარტია რაღაცას ფართობებს. მთავარია, ამ ფართობში ქვეყანა ან ხალხი არ დააზარალონ.

— ისე, როცა პარალელებზე ვსაუბრობთ, კომპარტიის უკან რუსეთი იდგა, დიდი ფინანსებითა და გეგმებით. ნაციონალიზმსაც აქვთ საკმარისი ძალა რევანშისთვის?
— ცხადია, იმის ნახევარი ძალაც არ აქვთ, რაც კომპარტიას ჰქონდა. „ოცნების“ მსგავსად, ნაციონალიზმი შეშინებული არ არის. მათ დასავლეთიდან გარკვეული მხარდაჭერა აქვთ. კომპარტიის უკან კი მთელი საბჭოეთი იდგა და მათ პირდაპირ იარაღით ამარაგებდა. მათ ხელისუფლების მხრიდანაც შეიარაღებული დაპირისპირება მიიღეს პასუხად.

ახლა არც ნაციონალიზმს აქვთ ამხელა ძალა, „ოცნება“ კი უნდა ხვდებოდეს, რომ ისეთი დაბალი რეაქტივი აქვს, წესით, არათუ დარბევს არ უნდა მოხდეს, არამედ აქციებზე ხელიც არავინ უნდა გაიქნოს. „ოცნება“ და ნაციონალიზმი ორი შეშინებული თხაა, რომელიც ახლა უფსკრულის პირას დგას და თუ ასე უგუნურად გააგრძელებენ მოქმედებას, გადაიჩნებიან. ეს 13-13-პროცენტეანი პარტიების აგონიაა, რადგან ორივემ იცის, რომ ამ ქვეყანაში დამთავრებულია. არავითარი სამოქალაქო დაპირისპირება არ მოხდება: ორი რეაქტივი კარგული პარტია იჩნუბებს და ქართველი ხალხი ორივეს დაიკიდებს. პრინციპში, უკვე დაკიდებულიც ჰყავს!

— მაშინ ვადამდელი არჩევნები ჩატარდა, რა მიზეზით ამით და განმუხტავს თუ არა დღევანდელ ვითარებას ვადამდელი არჩევნები?
— 1992 წელს ვადამდელი არჩევნები მე მოვიტოვე, რადგან მაშინ მართლა კრიზისული პოლიტიკური ვითარება იყო, თუმცა ამანაც არ განმუხტა. დღეს ასეთი პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში ნამდვილად არ არის, თანაც, ვადამდელი არჩევნები ხელს არცერთ პარტიას არ აძლევს. გარდა ამისა, რომც მოითხოვონ, მაშინ გაზაფხულზე ადრე ფიზიკურად ვერ ჩატარდება, შემოდგომაზე კი ისედაც არჩევნები, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ვადამდელს არც დროის თვალსაზრისით აქვს. აი, 2016 წლის არჩევნებზე კი, ვფიქრობ, დიდი ცვლილებები იქნება — ვერც ნაციონალიზმი და ვერც „ოცნება“ ამხელა მემადგენლობას ვეღარ გაიყვანს, უმრავლესობა არავის ეყოლება და შესაძლოა, ამან რეალურად კოალიციური მმართველობის შანსი გააჩინოს.

— რა როლი აქვს ამ პროცესების განვითარებაში „რუსთავი 2“-ის სკანდალს?
— 2001 წელს, „იმედის“ ამბების დროს, პარლამენტის წევრი ვიყავი. მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც ვადასტურებ, რომ თარგამაძემ აბსოლუტურად იდოლოტივი გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა არსზე არ შეჭრებო, უბრალოდ, შევიდა. ნებისმიერ შემთხვევაში, გაუმართლებელი ნაბიჯი გადადგა. დღეს „ოცნების“ მოქმედების ფორმა 2001 და 2007 წლებისგან ნამდვილად განსხვავდება. ეს პროგრესია, მაგრამ ჩვენ ის კი არ გვინდა, „ოცნება“ ნაციონალიზმს სჯობდეს, გვინდა, კარგი იყოს! როცა პრეტენზია გაქვს ნაციონალიზმზე, მომსწრებზე, ჩანერებას და ბრძოლის მსგავს მეთოდებზე, მინიმუმ მასავით არ უნდა მოქმედო — საერთოდ, რას ჰკავს ეს საუბრები იმაზე, რომ არსი ქიბარ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს?! სუსტად, მაგრამ „ოცნება“ ამ შეცდომებს მაინც იმეორებს. „რუსთავი 2“ კი 2001 წელს ვერ გაიმეორებს, რადგან იმხელა ძალა აღარ აქვს, როგორც შევარდნაძის დროს ჰქონდა და ბუნებრივია, არც იმხელა მხარდაჭერით სარგებლობს. ამიტომ არც მასობრივ პროტესტს ველი და მით უმეტეს, არც დიდ ძვრებს. ნაციონალიზმმა რადიკალურად „ჩაიბეს“ ეს პროცესი და წინასწარ ამბობენ, რაც უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ, „რუსთავი 2“-ს დაეცვათ. არა მგონია, „ოცნებამ“ ვინმეზე ხელი აღმართოს და შეხლა-შემოხლა მოხდეს. 2001 წლის გასამეორებლად, ხელისუფლებას მოუწევს, ხალხს პირდაპირ ჯოხები ურტყას თავში, ეს კი, პირველ რიგში, სწორედ მას არ აწყობს.

— მაგრამ აწყობს ნაციონალიზმსა და დანარჩენ ოპოზიციას.
— „ოცნებას“ გამბედაობა არ ეყოფა. ოპოზიციას კი ვერ ვიტყვი, რომ ნაციონალიზმს აყვებიან. ამ ვითარებაში, ნაციონალიზმმა ფლოტი ვერ იქნება. ფლოტი მაშინ ხარ, როცა შენს უკან გემები მოდიან. ვფიქრობ, ირაკლი ალასანი, ინტერპარტიული ჯგუფის დიდი ნაწილი, გონიერულად იქცევა. თუმცა, ძალა და გავლენა არ აქვთ. თუ ისინი საარჩევნო კოდექსის შეცვლის მოთხოვნას შეინარჩუნებენ და თავის გამოსაჩენად ამას იკმარებენ, მაშინ, დაბლოკების შემთხვევაში, არჩევნებზე რაღაც შედეგს დადებენ. „რუსთავი 2“ დღეს პოლიტიკურ დღის წესრიგს კრიტიკულად ვერ შეცვლის, ამიტომ ნაციონალიზმი მასზე დიდ იმედს ნუ დამყარებენ.

ვერსიანიუსი

პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პრეზიდენტის სასახლეში, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს შეხვდა. პრეზიდენტი შეხვედრისას მხარვედობა ქვეყანაში შექმნილი ვითარება განიხილეს და დიალოგის აუცილებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. საქართველოს პრეზიდენტმა 23 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მათთვის მისაღებ ფორმატში შეხვედრა შესთავაზა. პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილის განცხადებით, პრეზიდენტთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საქართველოში კონსტიტუციური წესრიგის დარღვევის საფრთხეს ვერ ხედავს. მისი განმარტებით, ხშირად ხდება ხელისუფლების წარმომადგენლებს და პრეზიდენტთან შეხვედრაში, რაიმე განსაკუთრებული და საგანგებო არ ყოფილა: „შეხვედი პრეზიდენტს. იმის წინ შეხვედი პრემიერს, ხვალ და ზევ ალბათ ისევ შეხვედები პრემიერს, პრეზიდენტს... ჯერჯერობით, ასეთი სასახური მაქვს, ვხვდები ხოლმე კოლეგებს. ვერ ვხედავ საგანგებო მდგომარეობას, კონსტიტუციური წესრიგის დარღვევის რაიმე საფრთხეს. ვხედავ ცალკეულ კონკრეტულ პრობლემებს. საჭიროა მათთან გამკლავება, რომ მომავალში, თეორიული საფრთხეც კი ავირიდოთ. ყველამ ჩვენი საქმე გულმოდგინედ უნდა ვაკეთოთ და მოსაზრებები ერთმანეთს გაუზიაროთ“.

პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ისურვებდა, ყველა პოლიტიკურმა მხარემ, ყველა საჯარო მოხელემ, ყველა ადამიანმა, ვინც მედიის მეშვეობით საზოგადოებასთან კონტაქტობს, ხელი შეუწყოს ვითარების განმუხტვას, დაძაბულობის მოხსნას და არა პირიქით, პროცესების ესკალაციას: „ამიტომ ვართ არჩეულნი თუ დანიშნულნი, რომ ეს გავაკეთოთ, თორემ ვადამიანებს აღმოვუვებთ სახლში, სამზარეულოში შეუძლიათ. ჩვენი ამოცანაა შერიგება, თანხების დაპირებების მოგვარება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთმანეთს, არ ვეთანხმებით. როგორმე დიალოგი უნდა გადავიყვანოთ არგუმენტების, კონკურენციის და არა პიროვნული მტრობის რეჟიმში. ამაზე ვისაუბრე პრეზიდენტთან“.

გასული კვირის განმავლობაში, რუსული საინფორმაციო საშუალებების ერთ-ერთი მთავარი თემა ქართველი ბიზნესმენი ამირან გიორგაძე იყო. ის ოთხი ადამიანის მკვლელობისთვის იძებნებოდა, ბოლოს კი გარდაცვლილს მიაგნეს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ან გარდაცვლილი ბიზნესმენი საქართველოს ხშირი სტუმარი იყო და მას ღამის კლუბებსა თუ კაზინოებში ხშირად ხედავდნენ. როგორც ამბობენ, ბატონ ამირანს სერიოზულ თანხაზე უყვარდა თამაში და ისეც ყოფილა, ნახევარი მილიონი წაუგია და მოუგია კიდევ. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მას ფული არ უჭირდა, თუმცა...

საინტერესო ის უფროა, რას გრძნობს ადამიანი, როცა ოთხ კაცს კლავს. ერთი შეხედვით, მარტივია იმის თქმა, რომ ოთხი კაცი მოკლა, მაგრამ ის შეგრძნება, მკვლელის განცდა, ალბათ მხოლოდ მან იცის...

გლდანის ციხის დირექტორს, ალექსანდრე მუხაძეს მეტსახელად „ქილერა“ ერქვა. ვერ გეტყვით, რატომ „მონათლეს“ ასე, თუმცა ის, რომ მისი დირექტორობის დროს, გლდანის ციხიდან გაუკვეციველ ვითარებაში გარდაცვლილი არაერთი პატიმარი გაიტანეს, ფაქტია. პატიმრებსაც ჰყავდათ თავისი „ქილერა“ — რუსთავის №17 ზონაზე იჯდა ბიჭი, რომელიც ოთხი კაცი ჰყავდა მოკლული და პატიმრები მასაც მეტსახელად „ქილერას“ ეძახდნენ. არადა, ერთი შეხედვით, იფიქრებდით, რომ ეს ხმელი, მაღალი ბიჭი ჭიანჭველას არ დაადგამდა ფეხს. სხვა პატიმრებით დილით სეირნობდა, ვარჯიშობდა, ფეხბურთს თამაშობდა, იცინოდა... სასამართლომ 30 წელი მიუსაჯა და ისიც იმიტომ, რომ ოთხიდან ორი გარდაცვლილი, ასევე მკვლელობისთვის ძებნაში მყოფი პირი იყო, დანარჩენები კი...

როცა ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის სიომ დაბერა, ყველა ანგარიშობდა და ფიქრობდა, მე ამნისტიის ასეთი ფორმულირება მიშველის, მე კიდევ ასეთი. „ქილერა“ უბრალოდ ილინოდა და ამბობდა, მე მინისძვრა მიშველის, შენობა უნდა დაინგრეს და გავიქცე, ოღონდ ასე სულელურად აღარ ჩავფარვები, ვეღარ დამიჭერენო. მე რე იყო, „ქილერას“ უბნელი რომ მოიყვანეს ზონაზე და ერთხელ წამოსცდა, ამას რა უჭირს, 30 წელი კი არა, მთელი ცხოვრება რომ იჯდეს, იმდენი ფული აქვს ოჯახს, არაფერს გაუჭირვებსო. კითხვა, რისთვის დახოცა ოთხი ადამიანი „ქილერამ“, კვლავ უპასუხო იყო და ვერავინ ბედავდა, ამ თემაზე მასთან საუბრის დანწყებას.

მკვლელების ფსიქოლოგია

„ქილერას“ „ალიარებითი ჩვენება“ ზონაზე



„შეგიძლია „ლარიკის“ კარტა მათხოვო? ჩემებს ჩარიცხვა დაავიწყდათ და ხვალ დაგიბრუნებ“, — უთხრა ერთ დღეს „ქილერამ“ პატიმარ №0578-ს და მანაც უხმოდ მიანოდა ბარათი. ორი დღის შემდეგ „ქილერა“ ისევ გამოჩნდა და ღიმილით თქვა: „ჩემებმა ფული დამირიცხეს და შენი კარტიდან წინა დღეს 30 ლარი დავხარჯე. მითხარი, რა ამოგიტანო?“

„სიგარეტი და ყავა“, — ჩუმად თქვა №0578-მა. ნახევარ საათში „ქილერამ“ სიგარეტი და ყავა ნარზე დაუწყო, გაუღიმა და...

„შენ რაზე ზიხარ?“ — მოულოდნელად იკითხა. „საპნიანი წყალი მოვიპარე“, — მშვიდად უთხრა №0578-მა.

„ქილერას“ სახე ეცვალა, მერე ისევ გაიღიმა და გააგრძელა: „ისე გეკითხები, მაინტერესებს. არ ხარ ცუდი ტიპი, ხალხი ჭკუასაც გეკითხება ხანდახან. კი მითხრეს, რაზე ზიხარ, მაგრამ არ მჯერა“.

„მეც მითხრეს, შენ რაზე ზიხარ და დავიჯერო?“ — კითხვა შეუბრუნა №0578-მა.

„ჰოო... მართლა მძიმე ყოფილა შენთან საუბარი“, — თქვა „ქილერამ“ და კამერადან გავიდა. №0578 უკან გაჰყვა და „ქილერას“ კამერაში შევიდა, ნარზე ჩამოუჯდა, თვალეში ჩახედა და პირდაპირ ჰკითხა: „შენზე ამბობენ, ოთხი კაცი მოკლაო.“

თანაც, ისეთები ამბობენ, უეჭველი მოკლული გყავს. შეგიძლია მითხრა რატომ? უფრო სწორად, შეგრძნება მაინტერესებს როგორია, როცა ჯერ ერთს კლავ, მეორეს, მესამეს... რალაცას ხომ გრძნობ, რალაცას ხომ ხვდები... თუ მერე და მერე იოლდება და ველარაფერს გრძნობ? შეიძლება მთელი ცხოვრება ისე გავიდეს, ოთხი კაცის მკვლელს ვერ შეხვდე და მე აგერ, გიყურებ, ყოველდღე გესალმები...“

„ვერ ვხვდები, რა გინდა... ვილაც რალაცას ისე მეკითხება, თან ევინია, თან მაინც მეკითხება და ერთს რომ შევუბღვერ, გარბიან. თავი ყველას უყვარს, სიცოცხლე ტკბილია. შენ კიდევ, ჩამომიჯექი და ტვინს მიბურღავ“, — თითქოს გაბრაზდა „ქილერა, მაგრამ №0578-მა შეატყო, რომ საუბრის გაგრძელებას აზრი ჰქონდა.

„იცი რას ვერ ვხვდები? ოთხი კაცი რომ მოკლა, საამისოდ რამდენიმე მიზეზი უნდა გქონდეს. ამ შურისძიების მიზნით, ან ფული უნდა გინდოდეს, ან ოფიციალური ქილერი ხარ და შეგიკვეთეს... როგორც ვიცი, შენ არც შური იძიე ვინმეზე, ფული საკმარისზე მეტი გაქვს და ქილერი კიდევ შენგან არ გამოვო, ოთხი კაცი მოკალი და ოთხივე გახსნეს. ეგ მაინტერესებს სწორედ, რატომ?! ჰო, რაც მთავარია, მაყურებლებს პრეტენზია არ აქვთ, ანუ იმათთან გააიანსენ და მკვლელობაზე პასუხს არ გთხოვენ, მითუმეტეს, პრის-ტუპნიკების მკვლელობაზე. მაინტერესებს, რატომ?“ — აუხსნა №0578-მა.

„შენ იცი, რომ „პრისტუპნიკებს“ ქილერები არ ევასებათ, ქილერობას გამართლება არ აქვს და როგორც გარეთ, ისე ციხეში, მაგაზე მოეთხოვება. ბოლო ორი, ვინც მოკალი, ჩემს მოსაკლავად იყვნენ მოსული. ანუ, მაყუთი გაუმაზეს წინა ორის ახლობლებმა. ესენი კი, მაინც ძებნაში ვართო და არ გვანყენს ფულიო. პირველმა სულ რაღაც სამი ათას დოლარად გადანყვიტა ჩემი მოკვლა და მითხრეს, გექებს მოსაკლავადო. დავინახე და დავასწარი. მეორემ უეცრე ოცი ათასი მოითხოვა. იმასაც დავასწარი. იმათი მოკვლით კმაყოფილების მეტი არაფერი მიგრძნია. ვადავრჩი, სიკვდილს ვადავრჩი. პირველი მკვლელობა კი შემთხვევითი იყო. პრინციპში, რაღა შემთხვევითი, რესტორანში ამიშარდა ტიპი, გინდა თუ არა, უნდა გცემო. გარეთ გამოვედით, არ ვარ მეც პატარა და ადვილად მოსარევი, მაგრამ კარატისტი ყოფილა, შავი ქამარი და რამე. სეტყვასავით დამაყარა მუშტები და რომ ვერ გავაჩერე, დანით ფეხზე გავკანრე. ამან სულ გააგიჟა და მახრჩობდა, დაბლა დამაგდო, ყელში მიჭერდა ხელებს და მგულავდა. ფერდში გავუყარე და არ მახსოვს რამდენჯერ, ტელევიზორში თქვეს მერე, თოთხმეტჯერ დაარტყაო. მე მეტჯერ მგონია... გაგიყუბული ვიყავი. „პაბეგი“ ავნიე და იქ, სადაც ვიმალბოდი, მომიხდა მეორე მკვლელობა. იქაც მთვრალი ამიშარდა და იარაღიდან მესროლა. ამაც ილა და როგორც მერე გაიკვია, იმ უბედურს, ერთ ტყვიანზე მეტი არ ჰქონია. აბა, მე რა ვიციოდი და როგორც კი პირველი გავარდა, მე ამოვიღე იარაღი და დავუშვი. ასე მოვკალი მეორე და ის ორი კი გითხარი“, — დაასრულა „ქილერამ“.

„და შეგრძნება როგორია ახლა... ოთხი კაცის ცოდვა განეგეს“, — არ მოეშვა №0578.

„ბოლო ორ შემთხვევაში მირჩევნია მე მედოს იმათი ცოდვა, ვიდრე იმათ ჩემი. პირველიც მკლავდა პრაქტიკულად და ყველაზე მეტად იმ მეორეს ვნანობ, რომ მცოდნოდა, იარაღში მეტი ტყვია არ ჰქონდა, არ ვესროდი. მართლა არ ვესროდი. ღამე კარგად მძინავს, სიზმრებს და კომმარებს ვერ ვხედავ. რეალურად, ერთადერთი, რაც აქ მაკლია, ქალია, თორემ დანარჩენი ასატანია. რა ვიცი, ჩემები ყველანაირად ჩალიჩობენ, რომ გავძვრე აქედან და სულით მკვლელი არ ვარ. ერთი ეგაა, შინაგანად ვხვდები, რომ ადამიანის მოკვლა მარტივია და ეს სიმარტივე მანხევს ცოტას. ანუ, თუ საჭირო იქნება, უკან დამხევი არ ვარ, გესმის?!“ — თითქოს დანანებით თქვა „ქილერამ“.

„შენებს დიდი ფული აქვთ და ეგებ ფულით იჩალიჩო რამე“, — უთხრა №0578-მა.

„დიდი ფული იმ მათხოვრებისთვის არის, აქ რომ 20-30 ლარის მოპარვისთვის სხედან. ობიექტი გვაქვს გაქირავებული, თვეში ხუთი ათასად. გარეთ ჩემებსაც ხომ უნდათ ჭამა და მე თვეში 500 ლარს მირიცხავენ. აქაურებისთვის 500 ლარი ზღაპარია. ბევრს არ ერიცხება და მაგიტომ ჩანს დიდი ფული, თორემ ჩემს საქმეს მილიონი არ ეყოფა ალბათ“, — თქვა „ქილერამ“.

საკოველთაო ამნისტიამ „ქილერას“ 22.5 წელი დაუტოვა, შეკრებილობის პრინციპის გაუქმებამ 10 წელი კიდევ მოაჭრა და „სულ რაღაც“ 5 წელში, „ქილერა“ თავისუფლებაზე გამოვა.

პერსიანიუსი

შს სამინისტროში არასამთავრობო ორგანიზაციებს საგზაო უსაფრთხოების პროგრამის პროექტი წარუდგინეს

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა არჩილ თალაკვაძემ და შალვა ხუციშვილმა, სამინისტროს სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე მოწვეულ სტუმრებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით სამინისტროს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი გააცნეს.

ახალი კანონპროექტის მიღება ქვეყანაში საგზაო მოძრაობის სფეროში არსებული ვითარების გაუმჯობესების აუცილებლობით და სწორად განვითარების უზრუნველყოფითაა განპირობებული.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის პრეზენტაციის შემდეგ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა კანონპროექტის შესახებ საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები გამოთქვეს და შინაგან საქმეთა მინისტროს საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით წამოწყებული პროექტის განხორციელებაში მხარდაჭერა აღუთქვეს.



„ვერსიანიუსი“

შს-მ რუსთაველი ბინის ქურდობის ფაქტი აღკვეთა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლელი ვალერი ს., 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლელი გიორგი ფ., 1990 წელს დაბადებული ზოსიმე ზ., 1991 წელს დაბადებული სულიკო შ. და 1996 წელს დაბადებული ბადრი ზ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები რუსთაველი იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი ც. ქ.-ს დროებითი საცხოვრებელი ბინის გაქურდვას ცდილობდნენ. პოლიციამ, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, ნაქურდალი ნივთები — 2 ლეპტოპი და ბინის პატრონის სამკაულები ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება წინასწარი შეთანხმებით დასრულდა. ბრალდებულები მიმდინარეობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ს 19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

შს მინისტრის მოადგილე პროგრამის „ქალთა ლიდერობის განვითარება“ განხილეს დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილესთან, ნიკოლას ბერლინერთან ერთად სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერი-აში“ აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანიზაციებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს (INL) მიერ ორგანიზებული სასწავლო პროგრამის — „ქალთა ლიდერობის განვითარება“ — გახსნას დაესწრო და მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

პროგრამაში, რომელიც 26-30 ოქტომბერს ჩატარდება, სხვადასხვა რეგიონიდან შს სამინისტროს რამდენიმე დანაყოფის 15 ქალი პოლიციელი მონაწილეობს. კურსი მიზნად ისახავს მონაწილეთათვის გუნდური მუშაობის, გადამწყვეტილების მიღების, კომუნიკაციის, სწავლებისა და ლიდერობის უნარ-ჩვევების განვითარებას.



„ვერსიანიუსი“

ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირისა და ევროკავშირის შესაბამისი გადამყვანილებით, ევროპის ქვეყნები, მათ შორის საქართველო, ანალოგურიდან ციფრულ მინისზედა მაუწყებლობაზე ეტაპობრივად გადავიდა. პროცესი 2015 წლის 1 ივლისიდან დაიწყო და აგვისტოს ბოლოს, როგორც საერთაშორისო და ადგილობრივი სპეციალისტები აფასებენ, წარმატებით დასრულდა. თუმცა 12 ოქტომბრიდან, მთელი საქართველოს მასშტაბით, კომერციული ტელეკომპანიების მაუწყებლობა შეფერხდა. ამას ობიექტური, ტექნიკური მიზეზები ახლდა, მაგრამ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს რეფორმა ჩავარდა. მეტიც, კვირას, 25 ოქტომბერს, „რუსთავი 2“-ის ეთერში, გადაცემა „პოსტსკრიპტუმში“ გავიდა სიუჟეტი — ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის, ნინო ბორჩხაძის ინფორმაციით, ამ სააგენტოში მრჩევლის პოზიციაზე მუშაობდა ზვიად ერემაძე, რომელიც აშშ-ში, თაღლითობის მუხლით იყო ნასამართლევია... რა შედეგით დასრულდა ციფრული მაუწყებლობის რეფორმა საქართველოში? რა მატერიალური სარგებელი მოაქვს ციფრულ მაუწყებლობას ქვეყნისთვის, მოსახლეობისა და ზოგადად, მაუწყებლებისთვის? ვინ არის და რა პოზიციაზე მუშაობდა ზვიად ერემაძე ციფრული მაუწყებლობის სააგენტოში? „ვერსიის“ კითხვებს ექსკლუზიურ ინტერვიუში, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს თავმჯდომარე, ნინო შუბინიძე პასუხობს.

— ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა, ანუ ანალოგური სიგნალის გათიშვის პროცესი ეტაპობრივად განხორციელდა. 2015 წლის ივნისში, თბილისში გაითიშა ანალოგური მაუწყებლობა, ფაქტობრივად, აგვისტოს ბოლოს კი — საქართველოს მასშტაბით. სახელმწიფო ქსელი ანუ შპს „საქართველოს ტელევიზიონური“ საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამ გადაცემას — პირველ და მეორე არხს, ასევე აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის და დამატებით, 5 კომერციულ ტელევიზიას, მათ შორის, „რუსთავი 2“-ს, „იმედს“, „GDS“-ს, „კომედი ტივი“-სა და „ტაბულას“ ავრცელებდა. ამავ პერიოდში, სახელმწიფო ქსელის საშუალებით უფასოდ, უწყვეტ რეჟიმში ვრცელდებოდა კომერციული არხების გადაცემებიც, რათა მოსახლეობა არ დაზარალებულიყო. პროცესი აგვისტოს ბოლოს დასრულდა, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ სახელმწიფო ოპერატორსა და კომერციულ ოპერატორებს მისწერა, რომ 12 ოქტომბერს, 10.00 საათიდან, ეს ხუთი კომერციული ტელევიზია „სტერიუ“-ის საშუალებით უნდა გაერევიყო. შესაბამისად, 12 ოქტომბრიდან, 5 კომერციული ტელევიზია სახელმწიფო ქსელიდან გაითიშა. ამის შემდეგ, ცხელ ხაზზე ბევრი შეტყობინება დაფიქსირდა, საქართველოს მასშტაბით, მოსახლეობა აცხადებდა, რომ ამ არხების გადაცემებს ვერ იღებდნენ. ჩვენი ცხელი ხაზის ოპერატორები ვალდებულნი არ არიან, მაგრამ მოსახლეობას ეხმარებიან და უხსნიან, თუ რომელ სიხშირეზე ვრცელდება კომერციული ოპერატორი ამა თუ იმ რეგიონში. ამასთან დაკავშირებით, კონსულტაციები გავიარეთ კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში და ინფორმაცია მივაწოდეთ ეკონომიკის სამინისტროს. სამუშაოდ, ამ საკითხს მთავრობა არ აკონტროლებს. პრობლემა მარეგულირებელსა და კომერციულ ოპერატორებს შორის უნდა მოგვარდეს. მოსახლეობამ „სტერიუ“-ის ცხელ ხაზზე უნდა დარეკოს.

— ციფრული მაუწყებლობის მისაღებად, მოსახლეობას „სეთ-თოვ ბოქსები“ სჭირდება, სოციალურად დაუცველ ოჯახებს სახელმწიფომ უფასოდ გადასცა ეს აპარატურა. ამ მხრივ, ხომ არ შეიქმნა პრობლემა?

— არა. 210 858 ცალი „სეთ-თოვ ბოქსი“, შპს პირებს უკვე დაუფრთხილეს, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ეს აპარატურა „საქართველოს ფოსტის“ რაიონულ სერვისცენტრებშია ხელმისაწვდომი. დღევანდელი მონაცემებით, „სეთ-თოვ ბოქსების“ მხოლოდ მცირე ოდენობა დარჩა, რადგან სოციალურად დაუცველი ოჯახების მცირე ნაწილმა არ ჩათვალა, რომ მათ ეს სჭირდებათ. თუმცა „სეთ-თოვ ბოქსების“ მიღება მათ 2015 წლის დეკემბრის ბოლომდე შეუძლებელი. მთლიანობაში, ციფრული მაუწყებლობის რეფორმა წარმატებით დასრულდა. ეს ეკონომიკის მინისტრმაც აღნიშნა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის — „იბარდის“ წარმომადგენელმაც. დამოუკიდებელმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოსახლეობაც საკმაოდ მაღალ დონეზე ინფორმირებული.

— რატომბა კარგი, როდესაც ქვეყანა ციფრულ მაუწყებლობაზე გადადის?

— ციფრული მაუწყებლობის რეფორმის განხორციელებით, სარგებელი მიიღო როგორც ქვეყანამ, ასევე მაუწყებლებმა და მოსახლეობამ. ამ რეფორმის შედეგად, 700 მეგაჰერცი სიხშირის რესურსი გამოავლინდა, რაც მანამდე ანალოგური ტელევიზიებისთვის იყო დაკავებული. გამოთავისუფლებული რესურსი ახალი, მეოთხე თაობის ტექნოლოგიებისთვის გაიყიდა. უკვე დაფიქსირებულია, რომ ამის შედეგად, კომუნიკაციების კომპანიებმა საქართველოს ბიუჯეტში დამატებით 300 მილიონი ლარი შეიტანეს. ანუ, ისარგებლა ბიუჯეტმა, ქვეყანამ და ტექნოლოგიურადც წინ წავიწიეთ. რაც შეეხება მაუწყებლებს, ამ რეფორმამდე, მათ უნდა გაენათ ხარჯი, როგორც კონტენტის (სატელევიზიო პროდუქტი — გადაცემები, პროგრამები) მომზადებაში, ასევე ქსელის უზრუნველყოფაში. ეს ნიშნავს, რომ ტელევიზიას უნდა მოემზადებინა პროგრამა, რაც გარკვეულ ხარჯებს უკავშირდება, მაგრამ მას ეს პროგრამები ტერმინალური (ლია, საეთერო მინისზედა მაუწყებლობა) მეოთხე თაობაზე უნდა გაეფრთხილებინა, რაც ასევე დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მოიაზრებოდა, რომ ლიცენზიის შედეგად, ერთი, კონკრეტული სიხშირე, მხოლოდ ერთ ტელევიზიას ენიჭებოდა და მთელი მუდურებოდა, ანუ კონტენტის მომზადება და ქსელის გადაცემაც მას ევალებოდა. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ, ტელევიზიას ქსელზე ზრუნვა აღარ სჭირდება, რადგან ამ სისტემაში ახალი ელემენტი — ოპერატორი გაჩნდა, რომელიც ქსელს უზრუნველყოფს, ტელევიზიას კი მხოლოდ კონტენტის მომზადების ხარჯი დარჩა. პირობითად, ერთი ციფრული რესურსი, საშუალოდ, 15 ტელევიზიისთვისაა საკმარისი, რაც მედიაპლურალიზმის თვალსაზრისით, მყარ საფუძველს ქმნის, რადგან რეალურად შესაძლებელია, რომ ბევრი

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შედეგად, ტელევიზიის ნარტიმევა აქტუალობას კარგავს

რა სარგებელი მოიგანა ციფრული მაუწყებლობის რეფორმამ, რაცომ გაითიშა 12 ოქტომბერს 5 კომერციული არხი და ვინ არის აშშ-ში თაღლითობისთვის ნასამართლევია ზვიად ერემაძე



ტელევიზია გაჩნდეს. შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის შესახებ კანონებში ბევრი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა და ტელევიზიის შექმნის პროცედურებიც გამარტივდა. რეფორმის შედეგად, ლიცენზიის მინიჭების მექანიზმი მოიშალა და ავტორიზაციით ჩანაცვალდა, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია, ნებისმიერი ადამიანი გახდეს ავტორიზებული პირი, შექმნას კონტენტი, იქირაოს 1/15 პლატფორმის ადგილი და პროგრამები გადასცეს. ანუ, მაუწყებლებმაც დიდი სარგებელი მიიღეს. უფრო შთამბეჭდავი ის არის, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, ადგილობრივი მაუწყებლებს უსასყიდლოდ მიენიჭათ არ გაუქმებულიყო. შედეგად, რეგიონული მედია შეინარჩუნეთ, რაც დიდი სარგებელია ტელევიზიებისთვის. რაც შეეხება მოსახლეობის სარგებელს, მართალია, მათ „სეთ-თოვ ბოქსების“ შექმნა დასჭირდა, მაგრამ ძალიან მაღალი ხარისხის, გაცილებით ბევრი პროგრამა მიიღეს.

— მას შემდეგ, რაც ქვეყანა ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდა, ტელევიზიის ნარტიმევის თემა აქტუალური აღარ არის? პირობითად, თუ „რუსთავი 2“ ძველ მფლობელს დაუბრუნდება, ამჟამინდელი მფლობელები ავტორიზაციას გაივლიან და იგივე გუნდის საშუალებით, ისევ იმ კონტენტს გადასცემენ?

— ვფიქრობ, ტექნიკურად არავითარი პრობლემა არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რა ვითარებაში იმყოფება „რუსთავი 2“-ის გუნდი დღეს, თუ ზუსტად იგივე საშტატო შემადგენლობით გაივლიან ახალ ავტორიზაციას, ახალ ტელევიზიად ჩამოყალიბდებიან და პირობითად, „ეი ბი სი“-ს დაირქმევენ, უპრობლემოდ, ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ მაუწყებლობას. თავისი სტრატეგიის ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შექმნა პრეცედენტი, რომ საქართველოში, ერთდროულად, 100-ზე მეტი მაუწყებელი არსებობდეს. ჯერ 100 მაუწყებელი არ არის, მაგრამ დღესვე რომ ასმა სუბიექტმა ტელევიზიის გახსნა მოინდომოს, ტექნიკურად ეს შესაძლებელია.

— „პოსტსკრიპტუმში“ გასული სიუჟეტის მიხედვით, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოში, მრჩევლის პოსტზე მუშაობდა ზვიად ერემაძე, რომელიც წლების წინ, აშშ-ში, თაღლითობის მუხლითგაასამართლეს. ერემაძე ციფრული მაუწყებლობის სააგენტოში მრჩევლად იმტოვრებოდა, რომ მისი შვილის ნათლია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, დიმიტრი ჭუბინიძეა. ვინ არის და რა პოზიციაზე მუშაობდა ზვიად ერემაძე?

— მნიშვნელოვანია, 2014 წლის თებერვლის მოვლენები გავიხსენოთ. საქართველოს გარკვეული ვალდებულება ჰქონდა ალბუნი, რომლითაც 2015 წლის ივნისიდან ანალოგური მაუწყებლობა უნდა გათიშულიყო. ეს ვალდებულება 2006 წლიდან არსებობს, მაგრამ ამ მიმართულებით, არაფერი გაკეთებულა. ციფრული მაუწყებლობის სტრატეგია 2014 წლის თებერვალში დამტკიცდა, ციფრული მაუწყებლობის სააგენტო სასწრაფო წესით შეიქმნა და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელიც დაინიშნა, მაგრამ სააგენტოს არ ჰქონდა არც ოფისი და არც ინვენტარი. არადა, უმოკლეს ვადებში უნდა აეშენებინა სახელმწიფო ქსელი და შესაბამისად, უცხოელ მომწოდებლებსაც ბევრი ტექნიკური ინფორმაცია უნდა მიეღო.

პარალელურად, „სეთ-თოვ ბოქსების“ მომწოდებლებიც უნდა შეგვერჩია და მოსახლეობისთვისაც უნდა აგვეხსნა, რომ ქვეყანაში ციფრული მაუწყებლობის რეფორმა ხორციელდებოდა, რისთვისაც თითოეული ოჯახი უნდა მომზადებულიყო. ბანალურ მდგომარეობამდე მივდივართ, მაგრამ სწორედ ამ ვითარებაში, სააგენტოს არ ჰქონდა ოფისი და ყველა საჭირო ინვენტარი. ამიტომ გვეჭირდებოდა ადამიანი, რომელიც სამეურნეო ნაწილს მიხედვდა, ანუ ოფისსაც შეარჩევდა, მაგიდებსაც, სკამებსაც და ყველა საჭირო ტექნიკურ, თუ საკანცელარიო ნივთსაც. უტყობებულად გეტყვით, მაგრამ ამ პოზიციაზე სკოლის ატესტაციც კი საკმარისი იქნებოდა, მთავარია, ადა-მინს, რომელსაც სამეურნეო ნაწილს ჩავაბარებდით, საოფისო და საკანცელარიო ნივთების შერჩევა სცოდნოდა. სწორედ ამ ფუნქციის შესასრულებლად ავიყვანეთ ზვიად ერემაძე, რომელიც სამთვინი ვადით, სამეურნეო საკითხებში მრჩევლად გავაფორმეთ. არ მაინტერესებდა მისი განათლება და წარსული, მთავარი იყო, შეძლო თუ არა, პირობითად, 8 სხვადასხვა მაღაზიაში ნასულიყო, რათა ენახა, თუ სად, რა ტიპის და რა ფასიანი კონდიციონერი იყიდებოდა. შემდეგ მე, როგორც თავმჯდომარეს, უნდა მიმელო გადაწყვეტილება, რომელს ვიყიდდი. ამ სამი თვის განმავლობაში, არაფერი ვიცოდით ერემაძის წარსულის შესახებ. ამის ცოდნა სავალდებულო არც იყო, რადგან არც ფინანსურ და არც იურიდიულ დოკუმენტებთან მას ნდობა არ ჰქონდა. მეტიც, შტატგარეშე თანამშრომელს, პირადობის მოწმობის გარდა, სამსახურში სხვა სახის დოკუმენტის წარდგენა არც კი მოეთხოვება. ციფრული მაუწყებლობის სააგენტოში, ზვიად ერემაძე 2014 წლის 1 მარტიდან, 1 ივნისის ჩათვლით მუშაობდა და არავითარი პრობლემა არ შეუქმნია.

— აწარმოებდა თუ არა ზვიად ერემაძე მოლაპარაკებას ერთ-ერთ ჩინურ კომპანიასთან „სეთ-თოვ ბოქსების“ შესახებ?

— ნინო ბორჩხაძის კომენტარში, რომელიც „პოსტსკრიპტუმში“ გავიდა, რამდენიმე შეუთავსებლობა დაფიქსირდა. ის აცხადებს, რომ ზვიად ერემაძე მასზე ზეწოლას ახდენდა დირექტორის თუ გენერალური დირექტორის კაბინეტში. ხაზგასმით გეუბნებით, რომ ციფრული მაუწყებლობის სააგენტოში დირექტორისა და გენერალური დირექტორის პოზიცია არ არსებობს, რადგან სააგენტოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და ნინო ბორჩხაძემ ეს კარგად იცის. რაც შეეხება ზეწოლას, სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ ჩემი თანდასწრებით, ნინო ბორჩხაძე ზვიად ერემაძეს არ შეხვედრია. 2014 წლის 2 ივნისიდან, ზვიად ერემაძე სააგენტოში არ გამოჩენილა, ხოლო „სეთ-თოვ ბოქსების“ შექმნა, რომელიც სააგენტოში სამ ეტაპად განხორციელდა, მხოლოდ 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბრიდან დაიწყო. იმის გამო, რომ პირველ და მეორე ეტაპზე, გამარჯვებული კომპანია ვერ გამოვლინდა, მესამე ეტაპიც ჩატარდა, სადაც სამიდან, ორმა კომპანიამ გაიმარჯვა და „სეთ-თოვ ბოქსები“ 2014 წლის დეკემბერში შევიწინეთ. ზვიად ერემაძე ამ პროცესში ჩართული არ ყოფილა და ვერც იქნებოდა, რადგან ამ პერიოდში, სააგენტოში აღარ მუშაობდა.

— ზვიად ერემაძე საკუთარი ინიციატივით მოვიდა, თუ მისი აყვანა ვინმემ გირჩია?

— გასაუბრება გამოვაცხადეთ და ამის საფუძველზე მივიჩნიეთ, რომ ამ ფუნქციას ზვიად ერემაძე შეასრულებდა.

პერსონალი

პრეზიდენტის ადმინისტრაცია ქიბარ ხალვაშის თხოვნას პირ შეასრულებს

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენელი სასამართლო პროცესებს ვერ დაესწრება, რადგან შესაძლოა, ეს სასამართლოზე გავლენის მოხდენის მცდელობად შეფასდეს. როგორც პრეზიდენტის მრჩეველი კახა კოჭორიძე აცხადებს, ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის თხოვნა, რომ პრეზიდენტის წარმომადგენელი მიმდინარე სასამართლო პროცესებს დაესწროს და მას მონიტორინგი გაუწიოს, ვერ შესრულდება. ამასთან, კახა კოჭორიძე აცხადებს, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, პრეზიდენტის ადმინისტრაცია აღნიშნულ საქმეს თვალს მიადავენებს: „ჩვენი წარმომადგენელი სასამართლო პროცესებს ვერ დაესწრება, რადგან ეს იქნება აღქმული, როგორც სასამართლოზე გავლენის მოხდენის მცდელობა და ცხადია, ეს ნაბიჯი ჩვენგან არცერთ შემთხვევაში არ იქნება გადადგმული. ამ კუთხით, მონიტორინგს ჩვენ ვერ განვახორციელებთ, მაგრამ ეს არის უადრესად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი საქმე, ამიტომ თვალყურს მივადევნებთ ამ პროცესებს.“ კახა კოჭორიძის თქმით, პრეზიდენტმა ქიბარ ხალვაშს დახმარება აღუთქვა, რომ მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეეცდებოდა, პროცესი მშვიდ გარემოში წარიმართოს და სასამართლომ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღოს.



„პია“

წყნეთის ბავშვთა სასლუი მსოფრთხი დევილი ოჯახები დახმარებას ითხოვენ

ლაშა დვალი

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველი მოადგილის, გრიგოლ გიორგაძის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში 561 დევნილი ოჯახი ახალ ბინას მიიღებს. დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესი სამი მიმართულებით მიმდინარეობს: ნგრევა და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილი ოჯახების გაყვანა; სასამართლოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებისა და სამინისტროს მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე დევნილი ოჯახების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით; კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი განსახლება გიორგაძის განმარტებით, სამინისტრო ცდილობს, ბინების განაწილებისას სამივე მიმართულებით პროპორციულად მოხდეს დევნილი ოჯახების დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართით. გიორგაძის განცხადებით, წლის ბოლომდე უნდა განაწილებულიყოს 541 ბინა, თუმცა, სამინისტრომ ქართველი მენაშენებისგან დამატებით 20 ბინა შეიძინა. შესაბამისად, მალე 561 დევნილი ოჯახი მიიღებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინას. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ...



წყნეთში, ყოფილ სამთავრობო აგარაკზე, რომელიც ჯერ ბავშვთა სახლად გადაკეთდა, მოგვიანებით კი, საერთოდ დაიხურა, ორი დევნილი ოჯახი ცხოვრობს. სახლი ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთ მხარეს ლევან გვარამიანი ცხოვრობს ოჯახით, მეორე მხარეს — ლადო ხორგუანი.

ლევან გვარამიანის სახლში შესულხს ორი მცირეწლოვანი ბავშვი დაგვხვდა — ლუკა და გაბრიელი. პრინციპში, რალა მცირეწლოვანი, ლუკა უკვე დიდი ბიჭია, წელს სკოლაში მივიდა. გაბრიელი კი ემოციურად, თვალებით ცდილობს მიგახვედროს, რა უნდა... ყრუ-მუნჯია...

„არ ვიცი, ამას რა ჰქვია, უკანონო შემოჭრა თუ უბრალოდ ის, რომ სხვა გზა და სადმე წასასვლელი არ გვაქვს. ჩვენი მდგომარეობის შესახებ ვრცელი წერილი ჯერ კიდევ დავით დარახველიძეს მივწერე, მერე სოზარ სუბართან მიწოდოდა შეხვედრა, მაგრამ... ჩაენერები შეხვედრაზე, თითქოს პრობლემა არ არის, რიგი გინევეს რამდენიმე კვირის შემდეგ, მერე კი გაიგებ, რომ მინისტრი ვერ შეგხვდება. სათვალავი აგვერია მე და ჩემს ქმარს, იმდენი ბინა გამოვიცვალეთ. რასაც ქმარი შოულობს, ბინის ქირაში მიდის... ამიტომ მოვედით აქ. ჩემს შვილებს მეგობრები არ ჰყავთ. გადავდივართ ერთგან, გაიცნობენ ბავშვებს, შემდეგ ავიყრებით და ისევ სხვაგან მივდივართ. აქ არც გაზია, არც ელექტროენერგია. გაზის მილი ეზოშია შემოყვანილი, მაგრამ ჩაჭრილია. გვითხრეს, აბონენტად ვერ ავიყვანთ სამინისტროს გარეშე. შეშის ფეჩი ვიშოვეთ, საჭმლის მოსამზადებლად. დენი მეზობლისგან გვაქვს გადმოყვანილი და გადასახადს ვიყოფთ“, — გვიამბობს ბავშვების დედა, ნათია მურღვლიანი, რომელიც განსაკუთრებით წერვიულობს გაბრიელის გამო: „ბაღში აქ არ მიიღეს. ნუცუბიძე თუ მივიყვანდი, სპეციალურ სასწავლებელში, მაგრამ წყნეთიდან როგორ ვატარო? მიწოდდა, აქ დამეწყო მუშაობა, ბაღში, გაბრიელიც გვერდით მეყო-



„სადმე დაგვასხდონ... ან იმის უფლება მაინც მოგვცენ, გაბი შემოვიყვანოთ, რომ ბავშვები არ დაგვეყინოს“

ლებოდა, მაგრამ არ გამოვიდა. გვერდიდან ვერ ვიშორებ. ეზოში რომ გავიდეს და ძებნა დაუწყოს, ვერც დაძახილს გვაგებინებ და ვერც თავად მეტყვის რამეს. საბედნიეროდ, ახლახანს თანხმობა გვითხრეს ბაღში მიყვანაზე და ეს ერთი პრობლემა მაინც მოგვარდა. მაინცდამაინც წყნეთში, აგარაკზე კი არ მიწინაა ცხოვრება, დაგვაკმაყოფილონ რამეთი, ელემენტარული პირობები გვექონდეს და რაც მოვარია, ვიცოდეთ, რომ იქიდან ორ თვეში აბარებება არ მოგვინევეს. დღე და ღამე მუშაობს მუხლზე, მაგრამ შედეგი?...”

„ვერსია“ დაინტერესდა, რა პოზიცია აქვთ დევნილთა სამინისტროში და თუ იღებენ რესპოდენტები რაიმე სახის დახ-



მარებას. როგორც ჩვენი მასპინძლებმა აგვიხსნეს:

„მთელი ამ ხნის განმავლობაში, არ მივიცილია არანაირი დახმარება, ვარდა იმ 28 ლარისა, რომელიც დევნილებისთვის არის განკუთვნილი. მეზობელმა ნახმარი, ძველი ტელევიზორი გვაჩუქა და სამინისტროდან რომ მოვიდნენ, მითხრეს, მხოლოდ სამინისტროს მიერ ნაჩუქარ ნივთებს ვრიცხავთ და სხვა საჩუქრის მიღების უფლება არ გვაქვთ. სამინისტრო რომ არაფერს მაძლევს, რა ვქნა? ზამთარი მოდის და ეგებ უფლება მისცენ გაზის კომპანიას, ეზოში, სახლიდან ხუთ მეტრში არსებული გაზი შინ შევიყვანოთ, რომ ბავშვები არ გამეყინონ. თუ მოხერხდება და მე და გაბრიელი ბაღში ვივლით, ნებისმიერ სამუშაოს შევასრულებ და შვილიც თანატოლებში ინტეგრირებული იქნება.“

ლადო ხორგუანს, ერთ ოთახში, კედელზე, პატარა აფ-

ხაზეთი აქვს მონყობილი — იქაური სახლის ორთო-ფოტო, ერთიანი საქართველოს რუკა, ცამდე აზიდული უშბისა და თეთნულდის გამოსახულებები... სახეზე ეტყობა, ბევრი ტანჯვა უნახავს, მაგრამ მაინც, სვანური გაუტყებლობით იყურება: „ოთხი წელი ვცხოვრობდი წალკაში, ვილაც ბერძენის ოჯახში შემასახლეს. მეურნეობა მოვანყვე, მინას ვამუშავებდი. ჩამოვიდა მერე ის კაცი და რა უნდა მექნა, სახლს ხომ არ წავართმევდი, წამოვედი აქეთ. გაზი მეც არ მაქვს. უკვე სვიტერით მიძინავს. რომ დაზამთრდება, პალტოთი მომიწევს დაწოლა. არ ვითხოვ არაფერს განსაკუთრებულს — ეგებ სადმე, ისეთ ადგილზე დამასახლონ, ვიცოდეთ, არავინ გამაგდებს. ერთი გოჯი მიწაც თუ მექნება... არ შემიძლია მინის გარეშე. ჩემს ასაკში წუნუნი ცოტა უხერხულია, მაგრამ...“

ლადო ხორგუანს, ეზოში პომიდორი, ლობიო, მწვანელი მოუყვანია. ეტყობა, მიწაზე მუშაობა რომ უყვარს. „მეტი ადგილი არ არის, მარტო ეს დავამუშავე, თორემ“, — თითქოს მომიბოდიშა ბატონმა ლადომ.

ვერ გეტყვით, რას გადაწყვეტს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თუ იმ ხალხს გაზის შეყვანის უფლებას არ მისცემენ, წინ უმძიმესი ზამთარი ელით.





RSM Capto
67, Agmashenebeli Ave.
Tbilisi 0102, Georgia
T +995 32 255 88 99 F +995 32 295 11 02
www.rsmcapto.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კავკასიის მიკრო კრედიტი“ მფლობელებს და ხელმძღვანელებს:

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „კავკასიის მიკრო კრედიტი“ („მისო“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც უნდა უზრუნველყოფდეს მომზადებას და სამართლიან წარდგენას ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც არ შეიცავს როგორც შეცდომით, ისე თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენ დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და დავაგვიტოვოთ და განვახორციელოთ აუდიტი გონივრული რწმუნების მოსაპოვებლად იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება თავისუფალი არსებითი უზუსტობებისგან.

აუდიტი მოიცავს პროცედურების გახორციელებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის მსჯელობაზე. მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც თაღლითობით, ისე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებაზე. ამ რისკის შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და სამართლიან წარდგენას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკის და ბუღალტრული შეფასებების შესაბამისობის შეფასებას.

ჩვენ ვთვით, რომ აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ არის საკმარისი და შესაფერისი საფუძველი პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსახატავად.



პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით მისოს სალაროში არსებული ფულადი სახსრების გადათვლას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან ჩვენი აუდიტორად დანიშნა მოხდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. ამდენად ჩვენ ვერ გამოვხატავთ ადეკვატურ რწმუნებას მისოს სალაროში არსებულ ფულად სახსრებზე 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც შეადგენდა 98,310 ლარს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველის ამზადში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

20 ოქტომბერი 2015, RSM Capto *RSM Capto*

შპს მისო კავკასიის მიკრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	მფლობელთა კაპიტალი		სულ
	ლარი	ლარი	
ნაშთი 2013 წლის 1 იანვარს	-	-	-
წლის ზარალი	-	(108,732)	(108,732)
შენატანი კაპიტალში	270,000	-	270,000
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრის	270,000	(108,732)	161,268
წლის მოგება	-	53,623	53,623
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის	270,000	55,109	214,891

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2015 წლის 20 ოქტომბერს.

[Signatures]
გალაქტიონ სურმაჩიძე
გენერალური დირექტორი
მაკა მახაშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს მისო კავკასიის მიკრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2014		2013	
	შენიშვნა	ლარი	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი		649,979	61,735	
საპროცენტო ხარჯი		(283,856)	(29,774)	
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		366,123	31,961	
სესხის გაუფასურების ზარალი		(103,055)	(30,505)	
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ზარალის შემდეგ		263,068	1,456	
სხვა შემოსავლები		48,732	3,982	
სავალუტო ვაჭრობის წმინდა მოგება/(ზარალი)		10,042	2,563	
კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)		15,548	622	
ოჯარის ხარჯი		(66,026)	(27,463)	
თანამშრომელთა ხარჯი		(141,935)	(64,460)	
ცვთა და ამორტიზაცია		(8,863)	(4,417)	
სხვა საოპერაციო ხარჯები		(50,419)	(35,595)	
მოგება გადასახადამდე		70,147	(123,312)	
მოგების გადასახადი		(16,524)	14,580	
წლის მოგება		53,623	(108,732)	

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2015 წლის 20 ოქტომბერს.

[Signatures]
გალაქტიონ სურმაჩიძე
გენერალური დირექტორი
მაკა მახაშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს მისო კავკასიის მიკრო კრედიტი
ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2014		2013	
	შენიშვნა	GEL	GEL	GEL
აქტივები				
ძირითადი საშუალებები		38,828	47,012	
გაცემული სესხები		2,955,958	884,022	
სხვა აქტივები		13,882	3,776	
გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივი		20,034	19,151	
ფული და ფულის ეკვივალენტები		98,460	95,280	
სულ აქტივები		3,127,162	1,049,241	
კაპიტალი				
მფლობელთა კაპიტალი		270,000	270,000	
გაუნაწილებელი მოგება		(55,109)	(108,732)	
სულ კაპიტალი		214,891	161,268	
ვალდებულებები				
მიღებული სესხები		2,873,979	875,761	
სხვა ვალდებულებები		33,474	7,640	
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება		4,818	4,571	
სულ ვალდებულებები		2,912,271	887,972	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,127,162	1,049,240	

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2015 წლის 20 ოქტომბერს.

[Signatures]
გალაქტიონ სურმაჩიძე
გენერალური დირექტორი
მაკა მახაშვილი
მთავარი ბუღალტერი

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

	2014		2013	
	შენიშვნა	GEL	GEL	GEL
ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობაში				
წლის მოგება		70,147	(123,312)	
კორექტირებები:				
ცვთა და ამორტიზაცია		8,863	4,417	
გაცემული სესხების გაუფასურება		103,055	30,505	
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:				
გაცემული სესხების ზრდა		(2,174,991)	(914,527)	
სხვა აქტივების ზრდა		(10,106)	(3,776)	
სხვა ვალდებულებების ზრდა		8,674	7,640	
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(1,994,358)	(999,053)	
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-	
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		(1,994,358)	(999,053)	

ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობაში

ძირითადი საშუალებების შექენა	(679)	(51,429)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული	(679)	(51,429)

ფულის მოძრაობა საფინანსო საქმიანობაში

მიღებული სესხების ზრდა	1,998,218	875,761
შენატანი მფლობელთა კაპიტალში	-	270,000
საფინანსო საქმიანობიდან გენერირებული ფული	1,998,218	1,145,761
ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)	3,181	95,279
ფულის და ფულის ეკვივალენტების მოძრაობა		
ნაშთი წლის დასაწყისში	95,279	-
ზრდა/(შემცირება)	3,181	95,279
ნაშთი წლის ბოლოს	98,460	95,279

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2015 წლის 20 ოქტომბერს.

[Signatures]
გალაქტიონ სურმაჩიძე
გენერალური დირექტორი
მაკა მახაშვილი
მთავარი ბუღალტერი

ყვლაზა „მზვანა“ ქვეყნები ბაბოაბლინა

სპეციალისტებმა აშშ-დან გამოკვლევა ჩაატარეს და იმ „მზვანე“ ქვეყნების რეიტინგი შეადგინეს, სადაც ეკოლოგიაზე ზრუნავენ. სიაში ქვეყნები გარემოს გარდაქმნისა და ათასგვარი ობიექტის შექმნის მიხედვით მოხვდნენ, რომელსაც სარგებელი მოაქვს პლანეტისა და ადამიანებისთვის. ლიდერთა ჩამონათვალში მოხვდა კანადა, ჩინეთი და ინდოეთი.



საუკეთესოთა ათეულში შევიდა ასევე სამხრეთ კორეა, სინგაპური, გერმანია, ფინეთი, ბრაზილია და არაბეთის გაერთიანებული საამიროები.

ბოტოქსით გულს უმყურნალებენ

ბოტოქსის მეშვეობით შეიძლება გულის არითმიის განკურნება, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი სწავლულები, რომლებიც ბოტულიკოზის ინექციებს იკვლევდნენ. როჩესტერის უნივერსიტეტის მკვლევარების თქმით, ამ პრეპარატის ინექციების სწორ გამოყენებას შეუძლია თავიდან აგვაცილოს გართულებების რისკი, რომელიც აორტიკორონარული შუნტირების შემდეგ ავლენს თავს. ბოტოქსის მცირე დოზაც კი ბლოკავს ნერვული დაბოლოებების სიგნალს, რომელიც აიძულებს კუნთებს, აქტიურად შეიკუმშოს. ეს კი ნიშნავს, რომ სწორი მიდგომით მედიკოსები მალე მიაგნებენ არითმიის წამალს, რომელიც მის ქრონიკულ ფორმასაც განკურნავს.



სასქელი სისოცხლეს ახანგობლივებს

ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში, რომელიც ალკოჰოლიზმის პრობლემებზე წერს, ცოტა ხნის წინ სამეცნიერო კვლევის შედეგი დაიბეჭდა, რომელმაც პლანეტის „ფიზიკური“ მოსახლეობა შოკში ჩააგდო. ამერიკელი სწავლულების დასკვნით, თურმე, ლოთების სიცოცხლის ხანგრძლივობა არამსმელებზე ბევრად მეტია. მკვლევარები 20 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ 1824 მოხალისეს 55-დან 65 წლამდე. კვლევის განმავლობაში გარდაიცვალა არამსმელთა 67%, სასმელის მოყვარულთა 60% და ზომიერი დალევის მომხრეების 41%. დაბალი სიკვდილიანობა აღინიშნა ზომიერად მსმელთა შორის. ის, ვინც დღეში ერთ-ორ ჭიქა ღვინოს მიირთმევს, იუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და უმცირდება გულის დაავადებათა განვითარების რისკი.



ხაცებს ქუსლებზე ცეხვას ასწავლიან

ავსტრიაში, ვენის აკადემია Top in Heels-ში, სადაც სუსტი სქესის წარმომადგენლებს მაღალ ქუსლებზე ლამაზად სიარულს ასწავლიან, ასეთივე კურსები გახსნეს მამაკაცებისთვის. როგორც ამბობენ, ასეთი ინტერესი ადგილობრივებმა „ევროვიზიის“ კონკურსის შემდეგ გამოავლინეს. კურსებს Men In Heels უწოდებს, ის საღამოს ფუნქციონირებს და საათნახევრიანი მეცადინეობის ფასი 45 ევროა. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ მაღალ ქუსლებზე სიარული, შესაძლოა, ახალ ტრენდად იქცეს კაცობრიობის ძლიერ ნახევარს შორის. 2014 წლის „ევროვიზიის“ გამარჯვებული კონჩიტა ვურსტი (იგივე ტომ ნოვირტი) სცენაზე წვერით, კაბითა და ქუსლიანი ფეხსაცმლით გამოვიდა.



წოლის საპატარძლო კაბის გამო გამოჩნდა

ამ წველის ოჯახური ცხოვრება ისე დასრულდა, დაწყებაც ვერ მოასწრო. დუბაის მცხოვრები მამაკაცი ქორწილის შემდეგ ლამის ჭკუიდან გადავიდა, როცა გაიგო, სინამდვილეში რა დაჯდა საზეიმო ცერემონია. თანხის გაგების შემდეგ, რაც ახალშეენილმა ცოლმა ქორწილისთვის ისესხა, კაცმა განქორწინებაზე განცხადება შეიტანა. ქორწილის წინ წვეილმა კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ქმარი თანახმა იყო, დაახლოებით 40 ათასი დოლარი გადაეხადა მთლიანი ცერემონიის მომზადებისა და ჩატარებისთვის, მათ შორის კაბისთვის. რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როცა გაარკვია, რომ 40 ათასი დოლარი საპატარძლო მხოლოდ მდიდრულ კაბაში გადაიხდა. უზარმაზარი ვალის გადახდას კი, ქმარმა განქორწინება არჩია.




ფორთოხლის წვენი ყურადღების კონცენტრაციისთვის

ბრიტანელი სწავლულები რედინგის უნივერსიტეტიდან გვიჩვენებენ, დალილობის დასაძლევად და მხნეობისთვის, ყავის ნაცვლად, ფორთოხლის წვენი დავლიოთ. ექსპერიმენტისას, რომელშიც 24 მოხალისე მონაწილეობდა, მოხალისეებს ერთ დღეს ერთ ჭიქა ხილის წვენს ასმევდნენ, მეორე დღეს კი — ტკბილ სასმელს, რომელიც ფერით და გემოთი ჰგავდა ფორთოხლისას. დადგინდა, რომ ექსპერიმენტის მონაწილეები უკეთ ართმევდნენ თავს ტესტებს რეაქციასა და ყურადღებაზე, როცა ფორთოხლის წვენს მიირთმევდნენ. ამასთან, ისინი თავს მხნედ გრძობდნენ სასმელის მიღებიდან 6 საათის შემდეგაც კი. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეს ეფექტი წვენში არსებულ ფლავონოიდებს უკავშირდება, რომელიც აუმჯობესებს ტვინში სისხლის მიმოქცევას და ამსუბუქებს ინფორმაციის გაცვლას ტვინის უჯრედებს შორის.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაპ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიკონი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.

დასვის პოლიცია მოხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს



125

დასვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.



GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- სანავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).



SECURITY POLICE 125
 SECURITY POLICE 125

www.125.ge

მართობა

1. აშშ-ის შტატი	2. სწრაფად მზარდი ჩინური ხე	3. განსაკუთრებული ნიჭი	4. რეზინის-ძირიანი ფეხსაცმელი		5. სელონური აბრეშუმი	6. მძელ-რობილთა ზეფი	7. უზარმაზარი ქანდაკება	8. მფრანგ-ანბანის ბოლო ასო
9. ფიგურული ფრჩხილი მუსიკაში	10. დულისინეს ნამდვილი სახელი	11. პარფიუმერია ძველ ქართულში	12. ინკვიციის უმცროსი მსახური		13. ოფიცრის საპარადო სამხრე	14. პერაკლეს ტუპის-ცალი	15. ბრძოლის ველი	16. დასტურის შეძახილი აშშ-ში
17. ინგლისური აუტომობილა	19. იორდანის დედაქალაქი	21. უმაღლესი ნეტარება ბუღიზში	22. პეტრარკას სატრფო		23. ორბაგი რადიუსი	24. ვაზის დაავადება, იგივე ნაცარი	25. მეცნიერების გამაჩნელი მოღვაწე	18. იგივე, რაც არჩეი
26. საკვები პროდუქტების მწარმოებ. ბრა-ზილიური ფირმა	27. კარის შენიღბი ჩასაკეტე ვიზი	32. სპილენძის ვიწროკლიანი ტურქული	33. ზეფის ფარი		34. ლიხტენ-შტეინის დედაქალაქი	35. დე ბრავლონის ტიტული	36. შხამიანი ბალახოვანი მცენარე	
37. ებრაული ანბანის III ასო	42. სიგრძის ძე. რუს. ერთეული	38. გადამდნარი კარაქი	43. ტყემლის გამოწურული წვენი	39. ისტ. მხარე ცენტ. ევროპაში	40. ლიტვის ვალუტა	41. ინდოეთ. დედაქალაქი		
47. ბრანზილიელი მწერალი	48. მუზეუმის მუშაობის კავალერისტი	49. შხამიანი გომბეზი	53. კანი ფრჩხილის ირგვლივ	54. ქართული ხალხური ზღაპარი	55. კამეჩის ნაშვირი	56. მოჭრილი და ტოტეზაგ-ლილი ხე		
51. წითელი ქვა	52. ხრიკი, ფანდი	57. მომკილი თავთავის კონა	58. პაკისტანის ოფიციალური ენა	59. ალიეს ქართული სასტუმრო-დედა	60. მიწის საზომი ერთეული ინგლისში	61. შეძახილი კავკასიურ ცეცხვებში	62. ამაზონის დელფინი	